



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



Georgian Civil Society Sustainability Initiative
სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა

2018 წელს გასაბუღი სახელმწიფო ბრანშების მონიტორინგის ანგარიში

ანგარიში შექმნილია ევროკავშირის და კონრად ადენაუერის ფონდის დაფინანსებით და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი“ და შესაძლოა იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის, კონრად ადენაუერის ფონდის და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის შეხედულებებს.

პროექტი „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან (CSI), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის დაფინანსებით.



თბილისი
სექტემბერი, 2020

საჩივრი

მადლიერების ნიშნად.....	5
მოკლე მიმოხილვა.....	6
შემოკლებაები და ტარმინთა განმარტებაები.....	8
I. შესავლი.....	9
II. კვლევის მონაცემთა მოკოვება და მეთოდოლოგია.....	10
1. სამაგიდო კვლევა და საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა.....	10
2. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფები.....	11
3. კვლევის პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობები.....	13
III. სახელმწიფო გრანტების გაცემის 2018 წლის პრაქტიკის მიმოხილვა.....	15
1. გრანტის გაცემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების მიმოხილვა.....	15
ცხრილი 1: მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სსიპ-ების ჩამონათვალი, რომლებსაც აქვთ გრანტის გაცემის უფლება (2019 წლის 16 დეკემბრის მდგომარეობით)....	16
ცხრილი 2: კვლევის ფარგლებში შესწავლილი 2018 წელს გაცემული გრანტების სამართლებრივი საფუძვლები.....	18
2. 2018 წელს გაცემული სახელმწიფო გრანტების ზოგადი სტატისტიკა.....	20
ცხრილი 3: გაცემული სახელმწიფო გრანტების სტატისტიკა 2016, 2017 და 2018 წლების მიხედვით.....	21
ცხრილი 4: 2018 წელს გაცემული გრანტების მიზნობრიობა და სტატისტიკა.....	22
IV. სახელმწიფო გრანტების გაცემის მონიტორინგის ძირითადი დასკვნები და მიგნებაები	23
ცხრილი #5: სახელმწიფო გრანტების გაცემის ეტაპები.....	23
1. საჯარო ინსტიტუტების მიერ გრანტის გაცემის დაგეგმვა.....	24
2. საჯარო ინსტიტუტების მიერ გრანტის გაცემის პროცესი.....	28
2.1. საგრანტო კონკურსის გამოცხადება.....	28
ცხრილი 6: გრანტის გაცემის წესით განსაზღვრული საგრანტო განაცხადის შეტანის მინიმალური ვადები.....	30
2.2. საგრანტო განაცხადების მიღება.....	31
ცხრილი 7: საგრანტო განაცხადების მიღების ფორმები.....	33

2.3.შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) ფორმირება.....	34
ცხრილი 8: საგრანტო კომისიის წევრთა შემადგენლობა.....	36
3.საკონკურსო განაცხადების შეფასება და საბოლოო გადანაწილებების მიღება.....	38
ცხრილი 9: საგრანტო განაცხადების შეფასების მექანიზმი.....	40
3.1.გასაჩივრებისმექანიზმი.....	42
4.საჯარო ინსტიტუტის მიერ საგრანტო პროექტების განხორციელების მონიტორინგი და შეფასება.....	44
5.ზოგადი მიგნებები.....	47
V.რეკომენდაციები.....	50
დანართები.....	52
გამოყენებულიმასალები.....	71

მადლიერების ნიშნად

„დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი“ (ჩჩ) მადლობას უხდის კვლევაში მონაწილე ყველა საჯარო დაწესებულებასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს წინამდებარე კვლევის შექმნაში. მათთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა კვლევისთვის ღირებული ინფორმაციის შეგროვება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს, რომლებმაც ღიად გამოხატეს საკუთარი აზრი, გაგვიზიარეს პრაქტიკული გამოცდილება სახელმწიფო გრანტების განხორციელებასთან დაკავშირებით და მოგვანოდეს ინფორმაცია სახელმწიფო გრანტების ადმინისტრირების პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, რითაც ხელი შეუწყვეს მნიშვნელოვანი მონაცემის შექმნას.

და ბოლოს, მადლობას ვუხდით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტსა და პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ დონორებს - ევროკავშირსა და კონრად ადენაუერის ფონდს - კვლევის ფინანსური მხარდაჭერისთვის.

მოქალაქეების მონაწილეობა

2018 წელს საჯარო ინსტიტუტების მიერ საბიუჯეტო სახსრებიდან საგრანტო დაფინანსების გაცემის მონიტორინგი „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელმა“ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ხელშეწყობითა და ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა.

წინამდებარე კვლევა აფასებს სახელმწიფოს მიერ გაცემული საგრანტო დაფინანსების პროცესის ეფექტურობას, ეტაპებსა და ზოგად პრინციპებს. კვლევა არ მოიცავს დაფინანსებული პროექტების შინაარსობრივ ან ხარისხობრივ შეფასებას. ერთი მხრივ, ყურადღება გამახვილებულია კანონმდებლობის განსაზღვრულ წესებზე, თუ რა ფორმით, რომელი ეტაპების გათვალისწინებით და რა კრიტერიუმებით ხდება საჯარო დაწესებულებების მიერ საბიუჯეტო სახსრებიდან საგრანტო კონკურსების ადმინისტრირება და, მეორე მხრივ, შესწავლილია კონკურსის მონაწილე და გრანტების მიმღები ორგანიზაციების პრაქტიკული გამოცდილება, რათა ერთობლივად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შემუშავდეს რეკომენდაციები, თუ როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს აღნიშნული პროცესი.

კვლევის განსახორციელებლად ინფორმაცია მოვიპოვეთ როგორც სახელმწიფო გრანტის გამცემი უწყებებისგან, ასევე საგრანტო კონკურსში მონაწილე და გრანტის მიმღები ორგანიზაციებისგან. კვლევა შემუშავებულია მიღებული საჯარო ინფორმაციისა და საკანონმდებლო ნორმების ანალიზის, ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების რესპოდენტებისგან მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად. მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განხორციელდა სახელმწიფო გრანტების გაცემის დაგეგმვის, გრანტების გაცემის პროცესისა და შემდგომი ადმინისტრირების შესწავლა და ანალიზი. ამრიგად, შედეგებზე დაყრდნობით, მოცემული ანგარიში მიმოიხილავს მონიტორინგის პროცესის ძირითად მიგნებებსა და დასკვნებს სახელმწიფო გრანტის გაცემის თითოეულ ეტაპზე და ადგენს შესაბამის რეკომენდაციებს პროცესის ეფექტურობის, სანდოობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით.

წარმოდგენილი ანგარიში მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს სახელმწიფო გრანტების გაცემის მონიტორინგის მექანიზმის გაძლიერებას, პროცესის ეფექტურობასა და ხარისხის გაუმჯობესებას. კვლევის ფარგლებში წარმოდგენილია სახელმწიფო გრანტების გაცემის ადმინისტრირების როგორც კარგი, ასევე სუსტი მხარეები. ამასთანავე, კვლევის შედეგად გამოვლენილი მიგნებებისა და შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინება ემსახურება სახელმწიფო გრანტების გამცემი უწყებებისა და გრანტის მიმღები ორგანიზაციების თანამშრომლობის ხელშეწყობას და სახელმწიფო დაფინანსების გაცემის პროცესის გაუმჯობესებას.

შემოქმედაბი და ტერმინთა განმარტება

განმარტებები

ბრანტი	„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მნიშვნელობა.
სახელმწიფო ბრანტი	გრანტი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის ან/და ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის სახსრების ფარგლებში გაიცა. გრანტის გასაცემად ასევე გამოიყენება არასაბიუჯეტო სახსრები, მაგალითად, დონორი ორგანიზაციიდან მიღებული სახსრები. თუმცა, ეს მეთოდოლოგია ფარავს მხოლოდ საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში გაცემული საგრანტო დაფინანსების მონიტორინგის საკითხებს.
საჯარო ინსტიტუტი/ დანესაბუღება/ უწყება	საქართველოს სამინისტრო და საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან მთავრობის/ სამინისტროს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
საბრანტო პროგრამა	გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუტის მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მონაცემებს საგრანტო თემის აქტუალურობის, მიზნების, მიმართულებების (პრიორიტეტების), შესრულების სავარაუდო ვადებისა და თანხების შესახებ.
სამართლებრივი აქტი	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ან „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნორმატიული ან/და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.
ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
ნორმატიული აქტი	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

შემოქმედაბი

ა(ა)იპ	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი

I. შესავალი

წინამდებარე ანგარიში მოიცავს საჯარო დაწესებულებების მიერ 2018 წელს გაცემული საგრანტო დაფინანსების პროცესის მონიტორინგის შედეგებს. კვლევის ფარგლებში შესწავლილია იმ საჯარო უწყებების პრაქტიკა, რომლებიც 2018 წელს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზე გასცემდნენ სახელმწიფო დაფინანსებას.

ანგარიშის მეორე თავი ეთმობა კვლევის მონაცემთა მოპოვებასა და მეთოდოლოგიას, მესამე თავში განხილულია გრანტის გაცემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმები და 2018 წელს გაცემული გრანტების ზოგადი პრაქტიკა/სტატისტიკა, მეოთხე თავი ეძღვნება სახელმწიფო გრანტების გაცემის მონიტორინგის ძირითად დასკვნებს და მიგნებებს, ხოლო მეხუთე თავში წარმოდგენილია რეკომენდაციები იმ სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ, რომლებმაც უკვე გასცეს ან გეგმავენ გრანტების გაცემას. თითოეულ თავში წარმოდგენილია შედარებითი პრაქტიკა 2016 და 2017 წლებში იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდა გრანტების ადმინისტრირების განსხვავებული პრაქტიკა 2018 წელთან შედარებით. ანგარიშს თან ახლავს კვლევის განმავლობაში გამოყენებული წერილების/კითხვარების ნიმუში და მასალების ჩამონათვალი.

II. კვლევის მონაცემთა მოპოვება და მეთოდოლოგია

კვლევის ეფექტურად განხორციელების მიზნით შემუშავდა შესაბამისი მეთოდოლოგია და კვლევის შემდგომი ინსტრუმენტები:

- სამაგიდო კვლევა (მიღებული საჯარო ინფორმაციის ანალიზი);
- საკანონმდებლო ნორმების ანალიზი;
- ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების ჩატარება გრანტის გამცემ და მიმღებ ორგანიზაციებთან;

საველე სამუშაოები განხორციელდა 2019 წლის 1 დეკემბრიდან 2020 წლის 31 აგვისტომდე. კვლევის ამოცანებისა და მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, სახელმწიფო გრანტების მონიტორინგი წარიმართა რამდენიმე ეტაპად:

1. სამაგიდო კვლევა და საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა

სამაგიდო კვლევა ჩატარდა იმის დასადგენად, თუ რა პროცედურებია წინასწარ დადგენილი სახელმწიფო უწყებების მიერ, რომელთა მიხედვითაც ხდება გრანტის გაცემის პროცესის ადმინისტრირება და ირკვევა, რამდენად სრულყოფილად ხდება ამ ნესების შესრულება სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ. სამაგიდო კვლევა მოიცავდა მიღებული საჯარო ინფორმაციისა და საჯარო დაწესებულებების ოფიციალურ ვებგვერდებზე გამოქვეყნებული ონლაინ რესურსების ანალიზს. კვლევის ამ ეტაპზე შევისწავლეთ საკანონმდებლო ბაზა (ნორმატიული აქტები, კანონები, კანონქვემდებარე აქტები, ბრძანებები, დებულებები და ა.შ.), რომელიც არეგულირებს საქართველოში საჯარო უწყებების მიერ გრანტების გაცემის პროცესს ((წყარო: სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ოფიციალური პორტალი - www.matsne.gov.ge და გრანტის გამცემი ინსტიტუტების ვებგვერდები). ამასთანავე, იდენტიფიცირდა საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილი ის საჯარო ინსტიტუტები, რომლებსაც შეუძლიათ არამომგებიან (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზე (შემდგომში „ა(ა)იპ“) სახელმწიფო დაფინანსების გრანტის სახით გაცემა. კვლევის მიზანს არ წარმოადგენდა იმ უწყებების იდენტიფიცირება, რომლებიც კომერციულ ორგანიზაციებზე ან ფიზიკურ პირებზე გასცემენ გრანტებს. სამაგიდო კვლევის ფარგლებ-

ში ყურადღება გამახვილდა გრანტის გამცემი საჯარო დაწესებულებების ოფიციალურ ვებპორტალებსა და მათში არსებულ „საჯარო ინფორმაციის“ გვერდებზე. ამ ნაწილში გაანალიზდა საგრანტო კონკურსის გამოცხადებისას გამოქვეყნებული ინფორმაცია (განაცხადის წარდგენის მოთხოვნები, ვადები, შეფასების კრიტერიუმები და სხვა) და განაცხადების მიღების/გრანტების მართვის ონლაინ სისტემები.

მას შემდეგ, რაც შეიქმნა იმ სახელმწიფო უწყებების ნუსხა, რომლებმაც 2018 წელს ა(ა)იპ-ებზე გასცეს გრანტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან, შემუშავდა სპეციალური წერილი (დანართი 1), რომლის მიხედვითაც მოვითხოვეთ გრანტის გაცემის პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა საჯარო დაწესებულებამ დაარღვია დოკუმენტაციის მიღების კანონით დადგენილი ვადა (დაუყოვნებლივ, არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა). ზოგიერთ შემთხვევაში (ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდი) დოკუმენტაცია წარმოდგენილი იყო არასრულად, შესაბამისად, ამ შემთხვევებში მიღებული საჯარო ინფორმაციისა და სიღრმისეული ინტერვიუების/ფოკუს ჯგუფის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ნაწილობრივ განხორციელდა გრანტის გაცემის პროცესის შესწავლა. მიღებული საჯარო ინფორმაციის დამუშავებისას ყურადღება გამახვილდა გრანტის გაცემის წესის შესწავლაზე, წარმოდგენილი ხელშეკრულებების, ანგარიშებისა და მონიტორინგის შედეგებზე.

კვლევის ამ ეტაპზევე შემუშავდა კითხვარი (დანართი 2, 3) ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფებისთვის.

2. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფები

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ შეირჩა თვისობრივი ინფორმაციის მისაღებად. ის კარგი ინსტრუმენტია განსხვავებული მოსაზრებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად, სპეციფიკური მდგომარეობის შესასწავლად ან სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის გადასამოწმებლად. ინტერვიუს ჩატარება მიზანშეწონილი აღმოჩნდა იმ გრან-

ტის გამცემი საჯარო უწყების წარმომადგენლებთან, სხვადასხვა დონის მენეჯერებთან და საგრანტო პროგრამის შექმნაზე პასუხისმგებელ პირებთან, რომელთაც გასცეს სახელმწიფო დაფინანსება ა(ა)იპ-ებზე 2018 წელს.

ინტერვიუები ჩატარდა 2018 წელს გრანტის გამცემ ყველა საჯარო უწყებასთან, გარდა სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა, რომელმაც არ მოგვანოდა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია და არ დაგვთანხმდა ინტერვიუს ჩატარებაზე.

შესაბამისად, ინტერვიუები ჩატარდა შემდეგ უწყებებთან:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
- სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი;
- სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

ამის გარდა, სახელმწიფო გრანტის მიღებასთან დაკავშირებული პრაქტიკის შესახებ მიღებული ინფორმაციის გადასამოწმებლად ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები იმ ორგანიზაციებთან, რომელთაც 2018 წელს მიიღეს მონაწილეობა საგრანტო კონკურსში და რომელთა ნაწილმაც წარმატებით მოიპოვა დაფინანსება. საგრანტო კონკურსში მონაწილეობასა და შემდგომი ადმინისტრირების პროცესთან დაკავშირებული ბარიერების გამოსავლენად ინტერვიუში მონაწილეობა მიიღეს იმ ორგანიზაციების წარმომადგენლებმაც, რომელთაც კონკურსის შედეგად ვერ მოიპოვეს დაფინანსება, ასევე იმ ორგანიზაციებმაც, რომელთაც საერთოდ არ მიუღიათ კონკურსში მონაწილეობა და არ იცნობენ სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების გზებს. ამ უკანასკნელთა გამოცდილების გათვალისწინება კვლევის პროცესში მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმ ბარიერების გამოსავლენად, რომელთაც

ორგანიზაციები აწყდებიან სახელმწიფო საგრანტო პროგრამებით სარგებლობისას. კვლევაში მონაწილეობა მიიღო საჯარო დაწესებულებებისა და გრანტის მიმღები ორგანიზაციის 30-მდე წარმომადგენელმა. მონიტორინგი განხორციელდა 2018 წელს გაფორმებულ 50 საგრანტო ხელშეკრულებაზე.

ინტერვიუების დასრულების შემდგომ გაიმართა ფოკუს ჯგუფი დაინტერესებულ პირებთან, რათა გამოგვევლინა დამატებითი საკითხები და გვემსჯელა რეკომენდაციებზე.

3. კვლევის პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობები

კვლევის პროცესის ძირითად შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენდა ახალი კორონავირუსის გავრცელების შედეგად მსოფლიო პანდემია, რის გამოც საქართველოში ორი თვის განმავლობაში გამოცხადებული იყო საგანგებო მდგომარეობა. ამ პერიოდში შეჩერებული იყო საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემა. შესაბამისად, ორი თვის განმავლობაში ვერ მოხერხდა სახელმწიფო უწყებებიდან ინფორმაციის მიღება და შემდგომი დამუშავება. აღსანიშნავია, რომ საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდგომ ეტაპობრივად მივიღეთ საჯარო ინფორმაცია კვლევაში მონაწილე საჯარო უწყებებიდან.

გარდა ზემოთ აღნიშნული ფაქტისა, კვლევის პროცესი შეაფერხა სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ არასრული დოკუმენტაციის მონოდებამ. მათ, ფაქტობრივად, არ მოგვანოდეს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია და, შესაბამისად, ვერ მოხერხდა მათთან სრულყოფილი მონიტორინგი.. არაერთი მცდელობის მიუხედავად, ფონდმა არ ითანამშრომლა პროექტთან.

კვლევის პროცესში ოკუპირებული ტერიტორიებიდან დეენილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სრულად არ მოგვანოდა მოთხოვნილი ინფორმაცია, რის ოფიციალურ საფუძვლადაც 2018 წელს განხორციელებული რესტრუქტურისა და დოკუმენტების ინვენტარიზაცია დაასახელა (მოთხოვნილი საარქივო მასალები ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა ყოფილი სამინისტროს იმ ნაწილის საქმიანობას უკავშირ-

დებოდა, რომელიც ზემოთ აღნიშნული სამინისტროს შემადგენლობაშია). შესაბამისად, კვლევაში გამოყენებული ცოდნა ეფუძნება საჯარო ინსტიტუტის წარმომადგენლებთან ინტერვიუსა და ფოკუს ჯგუფის შედეგებსა და საგრანტო პროგრამის დოკუმენტაციის იმ ნაწილს, რომლის მოწოდებაც შესაძლებელი გახდა.

III. სახელმწიფო ბრანტის გაცემის 2018 წლის არაქმიჯის მიმოხილვა

1. ბრანტის გაცემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების მიმოხილვა

სახელმწიფო დანესებულებების მიერ ბრანტის გაცემის ზოგად პრინციპებს განსაზღვრავს 1996 წლის 28 ივნისს მიღებული საქართველოს კანონი „ბრანტების შესახებ“. კანონი სულ 11 მუხლისგან შედგება, თუმცა 2020 წლის 15 ივლისის მდგომარეობით მასში 29 ცვლილება განხორციელებული. აღნიშნული კანონი არეგულირებს ბრანტის ცნებას და ადგენს, თუ ვინ შეიძლება იყოს ბრანტის გამცემი და მიმღები.

სახელმწიფოს მიერ ბრანტად მიჩნეულია ბრანტის გამცემის (დონორის) მიერ ბრანტის მიმღებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო განვითარებისა და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის.

ბრანტის გაცემის უფლება ყველა საჯარო დანესებულებას არ აქვს. ასეთი უფლებამოსილება მინიჭებული აქვს ზოგიერთ საჯარო უწყებას კანონის საფუძველზე. ამ კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების მიხედვით, სახელმწიფო დანესებულებებიდან ბრანტის გამცემები შეიძლება იყვნენ:

- საქართველოს სამინისტროები;
- საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროები;
- საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირები (სსიპ).

ცხრილი 1: მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სსიპ-ების ჩამონათვალი, რომლებსაც აქვთ გრანტის გაცემის უფლება (2019 წლის 16 დეკემბრის მდგომარეობით)

სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი	2016 წლის 30 დეკემბერი
სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ¹	2015 წლის 30 ოქტომბერი
სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	2016 წლის 29 ნოემბერი
სსიპ დენილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო	2016 წლის 16 აგვისტო
სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო ²	2016 წლის 2 თებერვალი
სსიპ ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	2014 წლის 11 სექტემბერი
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	2011 წლის 16 მარტი
სსიპ კულტურის ეროვნული ფონდი	2019 წლის 5 აგვისტო
სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო ³	2019 წლის 26 აგვისტო

უწყებების მიხედვით განსხვავდება პროცედურები, რომლებიც უნდა დაიცვან გრანტის გაცემის დროს. მაგალითად, საქართველოს სამინისტროები ვალდებული არიან, გრანტის გაცემის შესახებ დოკუმენტები წარუდგინონ საქართველოს მთავრობას გრანტის გაცემის მიზნის, გრანტის მოცულობისა და სახსრების გამოყენების კონკრეტული მიმართულების წინასწარი შეფასებისათვის. დეტალური ვალდებულებები, თუ როდის და რა ფორმით ხდება ამ ინფორმაციის გაცვლა, დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის მიერ.

¹ ფონდი გრანტს გაცემს მხოლოდ მუნიციპალიტეტებზე და მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ საწარმოებზე.

² სააგენტო გრანტს გაცემს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე.

³ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 აგვისტოს №411 დადგენილებით, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო არის სამართალმემკვიდრე სსიპ საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი-სა, რომელიც 2018 წლის 24 მაისის მდგომარეობით განსაზღვრული იყო გრანტის გამცემად.

ვრობის 2011 წლის 14 მარტის 126 დადგენილებით, რომლის მიხედვით, სამინისტროებს აქვთ ვალდებულება, 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარამდე გრანტი გასცენ მხოლოდ პრემიერ-მინისტრის თანხმობის მიღების შემდეგ, ხოლო თუ გრანტის მოცულობა აღემატება 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს, მაშინ სამინისტრო ვალდებულია, წინასწარ მოიპოვოს ფინანსთა სამინისტროს დასკვნა გრანტის გაცემის წინასწარი დოკუმენტის შესახებ და შემდეგ დოკუმენტების ერთობლიობა წარუდგინოს საქართველოს მთავრობას. შესაბამისი განკარგულების მიღების შემდეგ მინისტრი აფორმებს საგრანტო ხელშეკრულებას. ანალოგიური მიდგომა ვრცელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მიმართ (2018 წლის 29 იანვრის 3 დადგენილება) ერთი განსხვავებით: იმ შემთხვევაში, თუ საგრანტო თანხა არ აღემატება 10 000 (ათი ათასი) ლარს, სამინისტრო უფლებამოსილია თავად მიიღოს გადაწყვეტილება გრანტის გაცემის შესახებ და შემდგომ აცნობოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს.

აღსანიშნავია, რომ არც ერთი ზემოთ აღნიშნული საკანონმდებლო აქტი არ განსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც სამინისტრომ უნდა წარადგინოს, ხოლო მთავრობამ/პრემიერ-მინისტრმა განიხილოს მოთხოვნა და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. იმ ფაქტმა, რომ ეს საკითხი დაურეგულირებელია საკანონმდებლო დონეზე, შეიძლება გამოიწვიოს საჯარო დაწესებულების მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედება, დაგვიანებით წარადგინოს ან დაგვიანებით გასცენ თანხმობა/უარი საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით, რაც უარყოფითად აისახება სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობის პროცესზე.

კანონის კიდევ ერთ ხარვეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც იღებს გადაწყვეტილებას პრემიერ-მინისტრი ან/და მთავრობა, რა შეიძლება გახდეს უარის თქმის საფუძველი მაშინ, როცა საგრანტო კონკურსი უკვე ჩატარებულია და გამარჯვებულს აქვს ხელშეკრულების დადების მოლოდინი.

„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის გარდა, ყველა საჯარო უწყებას აქვს შემუშავებული შიდა სამართლებრივი აქტი, რომელიც არეგულირებს გრანტის გაცემის პროცედურებს საგრანტო კონკურსის გამოცხადებიდან პროექტების შესრულების ეტაპამდე.

კვლევის ფარგლებში შესწავლილია მხოლოდ იმ საჯარო დაწესებულებების მიერ დამტკიცებული და 2018 წლისთვის მოქმედი გრანტის გაცემის მარეგულირებელი ნორმები, რომლებმაც 2018 წელს ა(ა)იპ-ებზე გასცეს გრანტი. შესაბამისად, კვლევაში არ მოხვდა ცხრილ 1-ში მითითებული რამდენიმე სსიპ-ი, რომლებმაც 2018 წელს არ გასცეს გრანტი ა(ი)პ-ებზე.

ცხრილი 2: მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სსიპ-ების ჩამონათვალი, რომლებსაც აქვთ გრანტის გაცემის უფლება (2019 წლის 16 დეკემბრის მდგომარეობით)

2018 წელს გრანტის გასცემი საჯარო დაწესებულება	გრანტის გაცემის სამართლებრივი საფუძველი 2018 წელს
<p>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო www.justice.gov.ge</p>	<p>„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი - მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი; საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის N389 დადგენილება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“; საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №160 ბრძანება „საქართველო იუსტიციის სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.</p>
<p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო www.moh.gov.ge</p>	<p>„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი - მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2015 წლის 18 თებერვლის №246 ბრძანება „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.</p> <p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 24.01.2018წ. #59 ბრძანება. 09.03.2018წ. #817 ბრძანება. საქ. მთავრობის 19.04.2018 წ. 844 განკარგულება.</p>
<p>სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი www.tpdg.ge</p>	<p>„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი“ -მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 ნოემბრის №525 დადგენილება; ცენტრის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი და მე-3 პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტი.</p>

<p>სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი www.rustaveli.org.ge</p>	<p>„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი“ - მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი; „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი - 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი; საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის №273 დადგენილება; ფონდის დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.</p>
<p>სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი www.electionreforms.ge</p>	<p>საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის 7/2012 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით თანდართული „გრანტის გაცემის წესი“; ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2018 წლის 13 ივლისის №149/2018 განკარგულება; ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2018 წლის 6 აპრილის №93/2018 განკარგულება; საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2018 წლის 22 იანვრის №9/2018 განკარგულება</p>
<p>სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო www.gita.gov.ge</p>	<p>„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი“ – მე-2 მუხლი, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი; „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 სექტემბრის №1554 განკარგულება; „სსიპ – საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 23 თებერვლის #1-1/73 ბრძანება</p>
<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო www.adjara.gov.ge</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 29 იანვრის #3 დადგენილება; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულება; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 01-11/154, 01-11/64 და 01-11/370 ბრძანებები;</p>

2. 2018 წელს გასემული სახელმწიფო ბრანტების ზოგადი სტატისტიკა

იმისათვის, რომ დაგვედგინა, თუ რომელმა საჯარო დაწესებულებებმა გასცეს გრანტი საბიუჯეტო სახსრებიდან ა(ა)იპ-ებზე 2018 წელს, საჯარო ინფორმაცია გამოვითხოვეთ 30-მდე საჯარო უწყებიდან.

2018 წელს გაცემული საგრანტო დაფინანსების ბაზის შექმნის შემდეგ შემუშავდა კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შეირჩა დასამონიტორინგებელი საგრანტო ხელშეკრულებების სია;

- პროექტის ვადები (შერჩეულია მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროექტები);
- პროექტის ბიუჯეტი (შერჩეულია რამდენიმე მცირე ბიუჯეტისა და მაღალბიუჯეტის პროექტი);
- ათვისებული ბიუჯეტის ოდენობა (შერჩეულია რამდენიმე პროექტი ათვისებული გრანტის ოდენობის გამო);
- პროექტის განხორციელების ადგილი;
- დადებული საგრანტო ხელშეკრულებების ოდენობა.

მიღებული ინფორმაციის შედეგად შეიქმნა 2018 წელს ა(ა)იპ-ებზე გრანტის გამცემ სახელმწიფო უწყებათა ჩამონათვალი:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;
- სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
- სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი;
- სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო;
- სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

ამრიგად, დადგინდა, რომ 2018 წელს შვიდმა სახელმწიფო უწყებამ გასცა გრანტი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე. სულ გაფორმებულია 142 საგრანტო ხელშეკრულება, რომელთა ჯამური ღირებულება

შეადგენს 5,746,774 (ხუთი მილიონ შვიდას ორმოცდაექვსი ათას შვიდას სამოცდაათობხმეტი) ლარს. ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული ზოგიერთი პროექტი დაიწყო 2018 წელს, თუმცა გაგრძელდა მომდევნო წლებში, შესაბამისად, ბიუჯეტის ნაწილი 2018 წელსვე არ არის ათვისებული.

ცხრილი 3: გაცემული სახელმწიფო გრანტების სტატისტიკა 2016, 2017 და 2018 წლების მიხედვით

გრანტის გამცემი საჯარო დაწესებულება	2016 წელს დაკონტრაქტებული გრანტების ჯამური ბიუჯეტი ლარში	2017 წელს დაკონტრაქტებული გრანტების ჯამური ბიუჯეტი ლარში	2018 წელს დაკონტრაქტებული გრანტების ჯამური ბიუჯეტი ლარში
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	312382	163882	180000
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	600000	590000	650000
სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	არ გაუცია გრანტი	276090	281999
სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	1130405	2083551	2204769
სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი	2082506.82	2399014	2381571
სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო	14000	8600	39283
სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი (მიზნობრივი სუბსიდია)	1049967.78	743837.95	არ გაუცია გრანტი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	არ გაუცია გრანტი	არ გაუცია გრანტი	9152
სულ	5189261.6	6264974.95	5746774

ცხრილი 4: 2018 წელს გაცემული გრანტების მიზნობრიობა და სტატისტიკა

2018 წელს გრანტის გამცემი საჯარო დაწესებულება	გრანტის გაცემის მიზანი	2018 წელს გამოცხადებული კონკურსების რაოდენობა	კონკურსში მონაწილე ა(ა)იპ-ების რაოდენობა	2018 წელს გაცემული გრანტების რაოდენობა ა(ა)იპ-ებზე	შენყვეტილი საგრანტო ხელშეკრულებები	2018 წელს დაკონტრაქტებული გრანტების ჯამური ბიუჯეტი ლარში
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო www.justice.gov.ge	ყოფილ პატიმართა ბიზნესინიციატივების მხარდაჭერა	1	7	1	0	180000
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო www.moh.gov.ge	სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა	1	13	6	0	650000
სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი www.tpdc.ge	განათლების სფეროში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება	9	4	4	0	281999
სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი www.rustaveli.org.ge	სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	3	N/A	36	0	2204769
სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი www.electionreforms.ge	ამომრჩეველთა ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლება; პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა	3	161	68	0	2381571
სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ⁴ www.gita.gov.ge	ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა	მუდმივად მიმდინარე	9	9	0	39283
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ⁵ www.adjara.gov.ge	კულტურისა და განათლების სფეროს პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფა	1	1	1	0	9152


⁴ მითითებულია მონაწილეთა რაოდენობა მხოლოდ ა(ა)იპ-ების რაოდენობის გათვალისწინებით. სტატისტიკა არ შეიცავს ფიზიკური პირების მონაცემებს

⁵ მითითებული მხოლოდ ის საგრანტო კონკურსები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს ა(ა)იპ-ებმა. სტატისტიკა არ შეიცავს ფიზიკური პირების მონაცემებს

IV. სახელმწიფო მრანტების გაქემის მონიტორინგის ძირითადი დასქვნები და მიზნები

საჯარო ინსტიტუტების მიერ სახელმწიფო გრანტების გაცემის მონიტორინგი განხორციელდა შესაბამისი ეტაპების გათვალისწინებით: გრანტების გაცემის დაგეგმვა, გრანტების გაცემის პროცესი და გრანტების მონიტორინგი და შეფასება.

ცხრილი 5: სახელმწიფო გრანტების გაცემის ეტაპები



თითოეული აღნიშნული ეტაპის შესწავლა და გაანალიზება მოხდა როგორც საჯარო ინფორმაციის მოპოვების შედეგად, ასევე საჯარო ინსტიტუტების საგრანტო პროგრამის მართვაში ჩართულ პირებთან ჩატარებული ჩალრმავებული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების გამართვის საშუალებით. ამასთანავე, მონიტორინგის ფარგლებში მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმ ორგანიზაციების გამოცდილების გაზიარებაც, რომელთაც 2018 წელს მიიღეს სახელმწიფო დაფინანსება. შედეგად, შესაძლებელი გახდა როგორც საჯარო ინსტიტუტების მიერ გრანტების გაცემის ადმინისტრირების ძირითადი ეტაპების მონიტორინგი, ასევე ამ დაფინანსების მიმღებთა გამოცდილების გაზიარებაც. კვლევის ძირითადი მიგნებები წარმოდგენილია გრანტის გაცემის ეტაპების შესაბამისად. თითოეული მიგნების განხილვისას კი გათვალისწინებულია სახელმწიფო გრანტის გამცემი დაწესებულებებისა და ა(ა)იპ-ების გამოცდილება და ხედ-

ვა. გარდა გრანტის ადმინისტრირების ეტაპებთან დაკავშირებული კონკრეტული მონიტორინგის შედეგებისა, აქვეა წარმოდგენილი კვლევის ეტაპზე გამოკვეთილი ზოგადი სახის მიგნებები, რომლებიც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ზოგადი დასკვნების გაკეთებისა და რეკომენდაციების შემუშავებისას.

1. საჯარო ინსტიტუტების მიერ გრანტის გაცემის დაგეგმვა

სახელმწიფო უწყებების მიერ გრანტის გაცემის დაგეგმვის პროცესის შესწავლა მნიშვნელოვანია მონიტორინგის განსახორციელებლად. კვლევის ამ ეტაპზე შევისწავლეთ საჯარო დაწესებულებების მიერ საგრანტო პროგრამის შექმნის, კონკურსის გამოცხადების, საგრანტო თემის აქტუალურობის, მიზნების, მიმართულებების (პრიორიტეტების), შესრულების სავარაუდო ვადებისა და თანხების შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული ინფორმაცია ეყრდნობა დოკუმენტების ანალიზს, რომლებიც გადამოწმდა ჩაღრმავებული ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ შვიდივე საჯარო უწყებას, რომლებმაც 2018 წელს გასცეს სახელმწიფო გრანტი ა(ა)იპ-ებზე, დამტკიცებული აქვს გრანტის გაცემის პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს, თუ რა პროცესს გადიან დაინტერესებული მხარეები კონკურსის გამოცხადებიდან დაფინანსებული პროექტის შესრულებამდე.

აღსანიშნავია, რომ 7 საჯარო უწყებიდან ექვსმა 2018 წელს გამოაცხადა დროში შეზღუდული საგრანტო კონკურსები, ხოლო სსიპ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს შემთხვევაში მოქმედებს მცირე გრანტების პროგრამა, რომელიც 2015 წლიდან დაიწყო და მასში მონაწილეობა დროში შეუზღუდავად არის შესაძლებელი. განაცხადის წარდგენა შესაძლებელია თვის ნებისმიერ რიცხვში. დანარჩენ შემთხვევებში ყველა საჯარო უწყებას აქვს დამტკიცებული სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საგრანტო პროგრამის ძირითად მიმართულებასა და თემატიკას.

ინფორმაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 2018 წელს გამოცხადებული საგრანტო კონკურსები, გრანტის გაცემის წესის შესაბამისად, ასახავდნენ საჯარო უწყების კომპეტენციის სფეროში აქტუალური და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრის საჭიროებებსა და მი-

მართულებებს. ამის მიუხედავად, არც ერთი საჯარო უწყების შემთხვევაში არ გვხვდება მითითება რეგულარულ და განახლებულ ემპირიული კვლევის მონაცემებზე, რომლებიც საფუძვლად დაედება საგრანტო პროგრამას და გაამყარებს მის საჭიროებასა და აქტუალურობას. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით ასეთი ვალდებულება არ არის განსაზღვრული საჯარო დაწესებულებებისათვის, კვლევაში მონაწილე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, რომ კონკურსის პრიორიტეტები შესაბამისი არგუმენტებით იყოს გამყარებული. აღნიშნული კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც საჯარო უნება რამდენიმე წლის განმავლობაში აცხადებს ერთი და იმავე საკითხის მოსაგვარებლად საგრანტო კონკურსს მაშინ, როდესაც არ არსებობს შესაბამისი საჭიროების დამადასტურებელი კვლევა წლების განმავლობაში. მეორე მხრივ, კვლევა მნიშვნელოვანია იმის დასასაბუთებლად, თუ რატომ არ ხდება ზოგიერთი საკითხი საგრანტო პროგრამის პრიორიტეტებში, როდესაც საერთაშორისო დონორების მიერ ჩატარებული ეროვნული კვლევები ხშირად მიუთითებენ ქვეყანაში არსებული სხვადასხვა პრობლემის შესახებ, რომელთა მოგვარება საჯარო უწყებების კომპეტენციაა.

უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ემპირიული კვლევა საგრანტო პრიორიტეტების განსასაზღვრად, ზოგიერთი საჯარო დაწესებულება (იუსტიციის სამინისტრო, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი) მიმართავს შიდა მოკვლევის პრაქტიკას (მაგ: სოციალური მუშაკებისა და სხვა პროფესიონალების გამოკითხვა; ბენეფიციარებთან ჩატარებული მოკვლევა და ა.შ.). სწორედ ასეთი შიდა კვლევა ედება საფუძვლად საგრანტო პროგრამას. კვლევაში მონაწილე პირებმა, როგორც საჯარო დაწესებულებიდან, ისე სამოქალაქო სექტორიდან, აღნიშნეს, რომ ზოგიერთი პრიორიტეტი, რომელიც საგრანტო კონკურსით არის განსაზღვრული, საჭიროებს პერიოდულ გადახედვას და განახლებულ მონაცემებზე დაყრდნობით შესაბამისი მიმართულებების გადააზრებას, შედეგებისა და ბიუჯეტის გათვალისწინებით.

მონიტორინგის ამავე ეტაპზე გამოიკვეთა, რომ საჯარო დაწესებულებების მხრიდან არ არსებობს დაინტერესებული პირების (ა(ა)იპ-ები, ბენეფიციარები, თემატურად მომუშავე სხვა საჯარო უწყებები;) ჩართვის პრაქტიკა სა-

გრანტო პროგრამის შემუშავების ეტაპზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ვალდებულება სახელმწიფო უწყებებს კანონმდებლობით არ აქვთ დადგენილი, თუმცა, საგრანტო პროცესების ეფექტურად ადმინისტრირების მიზნით, კვლევაში მონაწილე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა სახელმწიფოსა და სამოქალაქო სექტორს შორის, რათა წინასწარ იმსჯელონ არსებულ გამოწვევებზე და შეიმუშაონ ისეთი პროგრამა, რომელიც სხვადასხვა დაინტერესებული მხარის აზრის გათვალისწინებით არის შექმნილი. მსგავსი მიდგომა საგრანტო პროგრამის ეფექტურობის წინაპირობაა.

„ქართულ სამოქალაქო საზოგადოებას დაუგროვდა შესაბამისი გამოცდილება, რომ თავიანთი ხედვა მიაწოდონ სახელმწიფოს, როგორ შეიძლება ადგილობრივ დონეზე გადაიჭრას ესა თუ ის პრობლემა. აუცილებელია, რომ სახელმწიფომ მოუსმინოს ამ ორგანიზაციებს, გაიგოს მათი აზრი და ამის გათვალისწინებით დაგეგმოს საგრანტო ინტერვენცია.“

➤ გრანტის მიმღები ორგანიზაციის წარმომადგენელი

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლების აზრით, აუცილებელია, რეგიონების დონეზე ტარდებოდეს ფოკუს ჯგუფები დაინტერესებულ პირებთან (ახალგაზრდებთან, სათემო ლიდერებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან), რათა რეალურად დადგინდეს ადგილობრივი საჭიროებები. მათი აზრით, შეუძლებელია სახელმწიფომ იცოდეს, რა საჭიროება რომელიმე სოფელში მცხოვრებ ადამიანს, თუ უშუალოდ მას არ ჰკითხავს ამის შესახებ.

„სახელმწიფომ უნდა ითანამშრომლოს ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებასთან, გაიგოს მისი საჭიროებები და შემდეგ საგრანტო პროგრამა მოარგოს ამ საჭიროებებს. არ უნდა ხდებოდეს პირიქით, როდესაც ადგილობრივი ორგანიზაციები არგებენ თავიანთ იდეებს საგრანტო კონკურსს. მათ უკეთ იციან, რა საჭიროება მათ თემს.“

➤ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენელი

კვლევაში მონაწილე პირები მიიჩნევენ, რომ კარგი იქნება, თუ ქვეყანაში

დამკვიდრდება ყოველწლიური ღონისძიების ფორმატი, რომლის საშუალებითაც სახელმწიფოსა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები შეძლებენ შეაჯამონ წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობა და იმსჯელონ მომავალი წლის საგრანტო პრიორიტეტებზე. აღნიშნული პრაქტიკა ხელს შეუწყობს საჯარო და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, პროგრამის გამჭვირვალობის გაზრდას, ექსპერტიზისა და გამოცდილების გაზიარებას ორგანიზაციებისა და სპეციალისტების მხრიდან და საბიუჯეტო სახსრების ეფექტურად განკარგვას.

სრულად არის დაცული გრანტების გაცემის დაგეგმვის ეტაპზე სამართლებრივი აქტების მოთხოვნები. ყველა საჯარო უწყებას წინასწარ აქვს განსაზღვრული განაცხადის წარდგენისთვის საჭირო პროცედურები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ვადები, შეფასების კრიტერიუმები და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა. გრანტის გამცემ თითოეულ სახელწიფო უწყებაში შექმნილია გრანტის გაცემის ადმინისტრირებისთვის საჭირო ორგანო - სამდივნო/საბჭო/კომისია, რომელიც უზრუნველყოფს გრანტების გაცემისთვის ყველა საჭირო პროცედურის შესრულებასა და დაცვას.

განაცხადის წარდგენისთვის საჭირო პროცედურები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ვადები, შეფასების კრიტერიუმები და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა განსხვავდება საგრანტო კონკურსის შინაარსისა და საჯარო ინსტიტუტის მიზნების შესაბამისად.

2016, 2017 და 2018 წლებში განხორციელებული სახელმწიფო გრანტების ადმინისტრირების პროცესის მონიტორინგის ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ნაკლებად იცვლება იმ პრიორიტეტთა ჩამონათვალი, რომელთა მოგვარებასაც სახელმწიფო საგრანტო კონკურსებით ცდილობს. პრაქტიკა აჩვენებს, რომ საგრანტო პროგრამები მეტწილად ესადაგება საჯარო უწყების ძირითად საქმიანობას/მიმართულებას და ერთგვარად გამოყენებულია, როგორც სერვისის მიწოდების ინსტრუმენტი.

2. საჯარო ინსტიტუტების მიერ გრანტის გაცემის პროცესი

სახელმწიფო გრანტების გაცემის პროცესის მონიტორინგის მნიშვნელოვანი ნაწილია საჯარო დაწესებულებების მიერ გრანტის გაცემის პროცესი. ამ ეტაპზე ხდება საგრანტო კონკურსის გამოცხადება, ინფორმაციის გავრცელება, განაცხადების მიღება და გამარჯვებულთა შერჩევა. ამ პროცესის შესასწავლად გაანალიზდა შესაბამისი სამართლებრივი აქტები, დადგენილი საგრანტო პროცედურები, შემდეგ კი ამ პროცედურების გათვალისწინებით შეფასდა უწყებების მიერ გრანტის გაცემის პროცესი.

2.1. საგრანტო კონკურსის გამოცხადება

2018 წელს გამოცხადებული საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაცია შეგროვებულია სამაგიდო კვლევის შედეგად. წყაროდ გამოყენებულია კვლევის ფარგლებში შესწავლილი საჯარო დაწესებულებების გრანტის გაცემის წესი. მიღებული ინფორმაცია დაზუსტდა თვისობრივი კვლევის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციით.

გრანტის გაცემის წესი ყველა საჯარო უწყებას ავალდებულებს, საგრანტო კონკურსის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს საჯაროდ და ხელმისაწვდომი იყოს ყველა დაინტერესებული პირისთვის. როგორც წესი, ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება შემოიფარგლება შესაბამისი საჯარო უწყებების ოფიციალურ გვერდებზე ინფორმაციის განთავსებით. ამის მიუხედავად, ყველა საჯარო დაწესებულება მიმართავს დამატებით რესურსებს, რათა მაქსიმალურად გაავრცელოს ინფორმაცია კონკურსის შესახებ. პრაქტიკის შესწავლით დადასტურდა, რომ საჯარო უწყებები მიმართავენ სოციალურ მედიას, განცხადებების გამოქვეყნების სხვადასხვა ვებგვერდს (mag. Jobs.ge; HR.ge). ინფორმაციის განთავსება ხდება არასამთავრობო ორგანიზაციების ელექტრონული ცნობარის გამოყენებით (<https://csogeorgia.org/>), რომლის ძირითადი მომხმარებლები სწორედ ა(ა)იპ-ები არიან. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შემთხვევაში სავალდებულოა ინფორმაციის გამოქვეყნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით (<http://procurement.gov.ge/>). დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ შემთხვევებში, ინფორმაციის ფართოდ გავრცელების მიზნით, საჯარო დაწესებულებამ მიმართა სატელევიზიო განცხადებას. 2017

წელს ამ პრაქტიკას იყენებდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო რეინტეგრაციის მიზნით გამოცხადებული საგრანტო პროგრამის ფარგლებში.

კვლევაში მონაწილე ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ ინფორმაციის მიღების ყველაზე ეფექტური გზა არის კონკურსის შესახებ ინფორმაციის განთავსება სოციალურ მედიაში და საიტზე www.jobs.ge. ზოგიერთი ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ისინი წინასწარ ამონმებენ ინფორმაციას საგრანტო კონკურსის შესახებ შესაბამისი უწყების ვებგვერდზე, რადგან გრძელვადიანი თანამშრომლობის ფარგლებში მათ მიახლოებით იციან ის დრო, როდესაც დაანონსდება საგრანტო კონკურსი.

რესპოდენტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ამომწურავი იყო კონკურსის შესახებ წინასწარ გავრცელებული ინფორმაცია. ასევე, ხელმისაწვდომი იყო ყველა საჭირო დოკუმენტაცია: განაცხადისა და ბიუჯეტის შევსების ფორმა, კონკურსანტების მიმართ ნაყენებული მოთხოვნები, წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, განაცხადების შეფასების კრიტერიუმები, გადანყვტილებების მიღების პროცედურები, გასაჩივრების მექანიზმი და ვადები.

რაც შეეხება კონკურსის ვადებს, კვლევის მონაწილეთა უმეტესობა დადებითად აფასებს განაცხადის შესამუშავებლად დადგენილ ვადებს, თუმცა ზოგიერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ ხშირად ეს ვადა არ არის საკმარისი ინფორმაციის გასაცნობად, შემდეგ შესაბამისი ექსპერტების მოსაძიებლად და თანამშრომლობის შეთავაზებისთვის, ამის შემდეგ კი კონკრეტული საგრანტო ინიციატივის წარსადგენად. მათ აღნიშნეს, რომ იმის გამო, რომ მათ აქვთ მრავალწლიანი პრაქტიკა კონკრეტული საჯარო უწყებების საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისა, წინასწარ აქვთ ინფორმაცია, თუ რა შინაარსის პროექტი შეიძლება წარადგინონ, რაც აადვილებს განაცხადის შემუშავების პროცესს, თუმცა ახალბედა ორგანიზაციისთვის, რომელიც პირველად ეცნობა საგრანტო კონკურსის მოთხოვნებს, შესაძლოა, დადგენილი ვადები არ აღმოჩნდეს საკმარისი. კვლევის მონაწილეების მიერ საგრანტო კონკურსის საშუალო ვადად დასახელდა 3-4 კვირა. აღსანიშნავია, რომ მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტით მინიმალური ვადები იშვიათ შემთხვევაში არის დადგენილი, პრაქტიკაში კი ეს ვადა მერყეობს ორი კვირიდან ერთ თვემდე.

ცხრილი 6: გრანტის გაცემის წესით განსაზღვრული საგრანტო განაცხადის შეტანის მინიმალური ვადები

საჯარო დაწესებულება	გრანტის გაცემის წესით განსაზღვრული საგრანტო განაცხადების შეტანის მინიმალური ვადა
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო www.justice.gov.ge	არანაკლებ 5 სამუშაო დღისა
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო www.moh.gov.ge	არ არის განსაზღვრული მინიმალური ვადა
სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი www.tpdc.ge	არ არის განსაზღვრული მინიმალური ვადა
სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი www.rustaveli.org.ge	არ არის განსაზღვრული მინიმალური ვადა
სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი www.electionreforms.ge	არანაკლებ 10 სამუშაო დღისა
სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო www.gita.gov.ge	მუდმივად მიმდინარე
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო www.adjara.gov.ge	არ არის განსაზღვრული მინიმალური ვადა

მიუხედავად იმისა, რომ, სამართლებრივი აქტების მიხედვით, საჯარო უწყება არ არის ვალდებული, გასცეს კონსულტაცია საგრანტო კონკურსთან დაკავშირებით, კვლევის განმავლობაში გამოიკვეთა, რომ ყველა საჯარო დაწესებულება უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობას კომუნიკაციის სხვადასხვა

მეთოდით: სატელეფონო კონსულტაცია, ელფოსტა, საჯარო პრეზენტაცია, მიღების საათები და ა.შ. კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების თანახმად, დამატებითი ინფორმაციის მიღების აღნიშნული გზების გამოყენებისას არანაირი წინააღმდეგობა არ წარმოქმნილა.

2.2. საგრანტო განაცხადების მიღება

საგრანტო განაცხადების მიღების შესახებ დამუშავებული ინფორმაცია ეფუძნება სამაგიდო კვლევის შედეგებს, კერძოდ, გრანტის გაცემის წესის ანალიზსა და ვებგვერდების შესწავლას. აღსანიშნავია, რომ სამაგიდო კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია დაზუსტდა თვისობრივი კვლევის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციით.

საგრანტო განაცხადების წარდგენის განსხვავებული პრაქტიკა არსებობს სხვადასხვა საჯარო უწყებაში. უმეტესად განაცხადების წარდგენა ხდება ელექტრონულად, საჯარო უწყების მიერ შექმნილი სპეციალური პორტალის ან ვებგვერდის გამოყენებით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო 2017 წლიდან საგრანტო კონკურსების ადმინისტრირებისათვის იყენებს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემას (www.procurement.gov.ge). 2017 წლამდე განაცხადები მიიღებოდა ელექტრონული ფოსტის საშუალებით. საჯარო ინსტიტუტის წარმომადგენლის განაცხადებით, აღნიშნული სისტემა მაქსიმალურად უზრუნველყოფს მონაწილეთა ანონიმურობას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ობიექტურობის გაუმჯობესებას. საგრანტო პროგრამის ადმინისტრირების ორგანო საკონკურსო ვადის დასრულებამდე ვერ ადგენს კონკურსში მონაწილე სუბიექტების ვინაობას და, შესაბამისად, არ აქვს წვდომა მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან. ამრიგად, კონკურსის ვადის ამოწურვამდე ინფორმაცია მონაწილეებისა და მათ მიერ შემოტანილი განაცხადის შესახებ რჩება ანონიმური.

სსიპ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო განაცხადებს იღებს შიდა პორტალის www.grants.gov.ge საშუალებით. გრანტის მიმღებები აღნიშნავენ, რომ განაცხადის წარდგენის ეტაპზე სისტემა სრულად არ არის მორგებული არაკომერციულ იურიდიულ პირებზე. კერძოდ, განაცხადის გასაკეთებლად

სავალდებულოა, რომ მითითებული იყოს დამფუძნებლების შესაბამისი წილები საწარმოში, რაც არამომგებიანი ორგანიზაციის შემთხვევაში შეუძლებელია. მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ხარვეზი მოგვიანებით აღმოიფხვრა სააგენტოს მიერ. აღსანიშნავია, რომ გრანტის მიმღებთათვის მეტად მოქნილია განაცხადების მიღების ელექტრონული სისტემა, რადგან არ უწევთ ფიზიკურად სააგენტოში მისვლა და დოკუმენტაციის წარდგენა. მიიჩნევენ, რომ კარგი იქნება, თუ გაფართოვდება გრანტების ადმინისტრირების პროცესში ელექტრონული მმართველობის წილი და მსგავსი კომუნიკაცია შესაძლებელი იქნება საგრანტო საქმიანობის ყველა ეტაპზე (ანგარიშგება, მონიტორინგი და ა.შ.).

მსგავსი ელექტრონული სისტემა აქვს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდსაც, რომელიც საკონკურსო განაცხადების მისაღებად იყენებს გრანტების მართვის ერთიან სისტემას (შ). სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრიც ამჟამად შიდა ელექტრონული სისტემით იღებს საგრანტო განაცხადებს, თუმცა 2017 წელს განაცხადებს ელექტრონული ფოსტით იღებდა.

განსხვავებული პრაქტიკა აქვს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რომლებიც განაცხადებს ფიზიკური ფორმით, დალუქული კონვერტის სახით იღებენ. კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ ეს მეთოდი არ არის მოქნილი საგრანტო კონკურსით დაინტერესებული ა(ა)იპ-ებისათვის. მათი აზრით, ელექტრონული სისტემა ბევრად მოსახერხებელი, სწრაფი და მარტივი ფორმაა განაცხადის წარსადგენად და ხარვეზის გამოსასწორებლად. ბეჭდური ფორმით განაცხადის წარდგენა განსაკუთრებით სირთულეს წარმოადგენს რეგიონებში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც უწევთ დოკუმენტაციის პირადად ჩამოტანა თბილისში, რათა ხელი მოაწერონ შესაბამის ჩაბარების აქტებს, რაც დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამის გარდა, მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ფიზიკური ფორმით დოკუმენტაციის წარდგენა ამცირებს განაცხადზე მუშაობის დროს, რადგან გასათვალისწინებელია მგ-

ზავრობის დრო რეგიონიდან თბილისამდე.

ამ მიდგომის ერთ-ერთი უარყოფითი მხარე ისიც არის, რომ საგრანტო საქმიანობის მენეჯერებს უნევთ წარმოდგენილი მასალის დაარქივება, რაც წლების განმავლობაში წარმოშობს გარკვეულ სირთულეებს დოკუმენტ-ბრუნვასთან დაკავშირებით. ამის ნათელი მაგალითია ის ფაქტი, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვერ ახერხებს რეორგანიზაციამდელი არქივის მოძიებას და საჯარო ინფორმაციის სახით გაცემას. მსგავსი პრობლემა არ შეექმნებათ იმ უწყებებს, რომლებიც ელექტრონულ პლატფორმას იყენებენ კონკურსების ადმინისტრაციისთვის და არქივიც იქვეა ხელმისაწვდომი.

ცხრილი 7: საგრანტო განაცხადების მიღების ფორმები

2017 წელს გრანტის გამცემი საჯარო დანესებულება	საგრანტო განაცხადების მიღების ფორმა 2018 წლის მდგომარეობით	კომენტარი
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	www.tenders.procurement.gov.ge ;	2017 წლიდან განაცხადები მიიღება მხოლოდ ელექტრონული პორტალის საშუალებით, ნაცვლად ელექტრონული ფოსტისა; ელსისტემის საშუალებით შესაძლებელია სტუმრის სტატუსით კონკურსის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება.
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	დალუქული კონვერტის სახით	დალუქული კონვერტი იხსნება საგრანტო კომიტეტის სხდომაზე.
სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	http://competitions.tpdg.ge	2018 წლამდე მხოლოდ იმეილით იღებდნენ განაცხადებს;
სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	www.gmus.rustaveli.org.ge	

სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი	დალუქული კონვერტის სახით დისკთან ერთად	განაცხადის ჩაბარებისას იხსნება კონვერტი, მონმდება ძირითადი დოკუმენტაცია.
სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო	www.grants.gov.ge	
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	სამინისტროს კანცელარიაში ფიზიკური ფორმით	

2.3. შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) ფორმირება

ამ ქვეთავში წარმოდგენილი ინფორმაცია ეფუძნება გრანტის გაცემის წესის ანალიზს, რომელიც, როგორც სხვა შემთხვევებში, შედარდა თვისობრივი კვლევის შედეგად მიღებულ ინფორმაციასთან.

გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი ყველა შემთხვევაში ითვალისწინებს შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) ფორმირების ვალდებულებას. შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) ფორმირების დროს სრულად იყო დაცული შესაბამისი სამართლებრივი აქტი/გრანტის გაცემის წესით გათვალისწინებული მოთხოვნები. კომისიის/საბჭოს დაკომპლექტების წესი განსხვავდება უწყებების მიხედვით. უმეტესად, საგრანტო განაცხადების შემფასებლები არიან პირები, რომლებიც წარმოადგენენ როგორც საჯარო დაწესებულებებს, ასევე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციას, საერთაშორისო ორგანიზაციებს და არიან სფეროს ექსპერტები. აღსანიშნავია, რომ საჯარო დაწესებულებებმა სრულად არ გაასაჯაროვეს კომისიის/საბჭოს წევრების ვინაობა/თანამდებობრივი პოზიცია, შესაბამისად, შეუძლებელია დადგინდეს, რომელი ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან ძირითადად საბჭოში.

სსიპ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტოს შემთხვევაში, სააგენტოს თავმჯდომარე მცირე გრანტების (ლონისძიებების ორგანიზება) შეფასების მიზნით ქმნის შიდა საგრანტო კომისიას. საბჭოს წევრად შეიძლება აირჩიონ სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ან იურიდიული პირის წარმომადგენელი და უმაღლესი განათლების მქონე ნებისმიერი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი. საბჭომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება სათათ-

ბირო ხმის უფლებით შესაბამისი დარგის ექსპერტების მოწვევის შესახებ, რომელთა რაოდენობაც უნდა იყოს ლუნი. გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი ითვალისწინებს ძირითად პრინციპებსა და უფლებამოსილებას.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამის ფარგლებში საგრანტო კონკურსის გამოცხადების, საგრანტო განაცხადების მიღებისა და განხილვის და საგრანტო კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით მინისტრი ქმნის საგრანტო საბჭოს. საბჭოს წევრად შეიძლება დაინიშნოს სამინისტროსა და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი ან უმაღლესი განათლების მქონე ნებისმიერი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემთხვევაში, იუსტიციის სამინისტროს მსგავსად, საგრანტო კომისია იქმნება მინისტრის მიერ და მისი წევრი შეიძლება იყოს სამინისტროს სისტემის მოსამსახურე, ან/და საქართველოში მოქმედი საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის, ან/და სახელმწიფო დანესებულების წარმომადგენელი.

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის შემთხვევაში, საგრანტო კომისია იქმნება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის საგრანტო საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორი ცესკოს თანხმობით. კომისიაში გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილ წევრად შეიძლება მოწვეულ იქნენ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის, აკადემიური სექტორის, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები (გარდა ცესკოს წევრებისა), სახაზინო/საბიუჯეტო დანესებულებების კომისიის წარმომადგენლები. გარდა ამისა, კომისიის შემადგენლობაში სათათბირო ხმის უფლებით მიწვეული უნდა იქნეს, სულ მცირე, სამი საერთაშორისო ორგანიზაციის ან შესაბამისი გამოცდილების მქონე უცხოური ფონდის წარმომადგენელი.

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდმა არ გაასაჯაროვა შემფასებელი კომისიის შემადგენლობა. მოპოვებული ინფორმაციით ცნობილია, რომ განაცხადებს აფასებს დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფი, თუმცა მათი ვინაობა კონფიდენციალურია. აღნიშნული პრაქტიკა კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებმა უარყოფითად შეაფასეს. მათი აზრით, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპი მოითხოვს, რომ საჯარო უწყებამ მაქსიმალურად ითანამშრომლოს კონკურსის მონაწილეებთან/საზოგადოებასთან და არ დამალოს ისეთი ინფორმაცია, რაც საგრანტო კონკურსის გამჭვირვალებას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს.

კვლევამ დაადასტურა, რომ საგრანტო საბჭოებში/კომიტეტებში ხშირად გვხვდება საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რაც საგრანტო კონკურსის გამჭვირვალედ და ობიექტურად ჩატარების წინაპირობას იძლევა. აღნიშნული პრაქტიკა ერთხმად დადებითად შეფასდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ. მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სასურველია, საბჭოს ნახევარზე მეტი იყოს არასახელმწიფო ორგანიზაციის წარმომადგენელი, რაც კიდევ უფრო ობიექტურს გახდის შეფასებას.

ცხრილი 8: საგრანტო კომისიის წევრთა შემადგენლობა

საჯარო დაწესებულება	საგრანტო კომისიის მინიმალური შემადგენლობა 2018 წელს მოქმედი რეგულირების მიხედვით	საგრანტო კომისიის შემადგენლობა 2018 წლის პრაქტიკის მიხედვით
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო www.justice.gov.ge	სულ მცირე, 5 წევრი	7 წევრი; მათ შორის 5 -გრანტის გამცემი ან მას დაქვემდებარებული საჯარო უწყებიდან, 1 - სხვა საჯარო დაწესებულებიდან და 1 - უცხოური არასამეწარმეო ორგანიზაციიდან
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო www.moh.gov.ge	არ არის დადგენილი მინიმალური რაოდენობა	9 წევრი; მათ შორის გრანტის გამცემის 6 წარმომადგენელი და 2 წევრი საერთაშორისო ორგანიზაციიდან, 1 დამოუკიდებელი ექსპერტი;

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი www.tpdcenteri.ge	სულ მცირე, 3 ნევრი	8 ნევრი; ნევრების ვინაობის/ თანამდებობების შესახებ ინფორმაცია არ გასაჯაროვდა;
სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი www.rustaveli.org.ge	არ არის დადგენილი მინიმალური რაოდენობა	არ გასაჯაროვდა ინფორმაცია
სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი www.electionreforms.ge	სულ მცირე, 5 ნევრი	5 ნევრი; არც ერთი მათგანი არ არის გრანტის გამცემის წარმომადგენელი; 3 ნევრი სათათბირო ხმის უფლებით;
სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო www.gita.gov.ge	სულ მცირე, 3 ნევრი	11 ნევრი; მათ შორის 9 ნევრი გრანტის გამცემი ან მას დაქვემდებარებული უწყებიდან; 2 მონვეული ნევრი კომერციული ორგანიზაციიდან;
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო www.adjara.gov.ge	სულ მცირე, 4 ნევრი	5 ნევრი გრანტის გამცემი უწყებიდან;

უწყებების მიხედვით განსხვავდება პრაქტიკა შემფასებელი კომისიის შემადგენლობის გამოქვეყნების საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს/კომისიის შემადგენლობას საჯაროდ, წინასწარ, კონკურსის გამოცხადების ეტაპზევე აქვეყნებს მხოლოდ ორი უწყება - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. სხვა უწყებების შემთხვევაში, ნაწილმა გასაჯაროვა ეს ინფორმაცია, ზოგიერთმა კი ნაწილობრივ გასაჯაროვა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის გათვალისწინებით. გამოკითხულ ორგანიზაციათა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით რაიმე პრობლემას ვერ ხედავს, ხოლო მეორე ნაწილი მიიჩნევს, საგრანტო კონკურსის გამოცხადებისთანავე საბჭოს შემადგენლობის საჯაროდ გამოქ-

ვეყნება შესაძლოა რისკის შემცველი აღმოჩნდეს, ვინაიდან პოტენციურმა მონაწილეებმა შესაძლოა არამიზნობრივად გამოიყენონ ეს ინფორმაცია. კვლევაში მონაწილე ყველა ორგანიზაცია თანხმდება, რომ შემფასებლების შესახებ ინფორმაცია აუცილებლად უნდა იყოს ღია და საჯარო კონკურსის დასრულების შემდეგ მაინც, რაც უმეტესი უწყებების შემთხვევაში არ ხდება.

გრანტის გაცემის წესი არეგულირებს შემფასებელი კომისიის წევრთა ინტერესთა კონფლიქტის საკითხს. ყველა შემთხვევაში დეტალურად არის აღწერილი წინაპირობები, რომლის მიხედვითაც წევრი ვალდებულია დააფიქსიროს ინტერესთა კონფლიქტი და არ შეაფასოს განაცხადი. 2018 წლის დოკუმენტაციის შესწავლით არ დგინდება ინტერესთა კონფლიქტის არსებობა რომელიმე საგრანტო კონკურსთან დაკავშირებით, განსხვავებით 2017 წლისა, როდესაც ინტერესთა კონფლიქტის გამო თვითაცილების პრაქტიკა გამოვლენილ იქნა ორჯერ სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საგრანტო კონკურსის ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ გრანტის გაცემის პროცესის ადმინისტრირების ეტაპები არ იცვლება წლების მიხედვით, თუმცა შესამჩნევია ის ცვლილება, რომელიც პროცესის ადმინისტრირებას ერთვის თან. მაგალითად, 2016 წელს არ არსებობდა საგრანტო განაცხადების წარდგენის ელექტრონული პორტალი. ამ მიმართულებით შესამჩნევია პროგრესი, რომელიც სახელმწიფო უწყებებმა განიცადეს და დანერგეს კონკურსის მართვის სხვადასხვა ელექტრონული მოდელი, რათა შექმნან უფრო მოქნილი და გამჭვირვალე სისტემა. სასურველია, გაგრძელდეს ეს ტენდენცია და ყველა საჯარო უწყებამ თანაბრად უზრუნველყოს მსგავსი შესაძლებლობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის.

3. საკონკურსო განაცხადების შეფასება და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

ამ ქვეთავში მოცემული მიგნებები ეფუძნება დოკუმენტურ ანალიზსა და საჯარო ინფორმაციის შედეგად მიღებული სხდომის ოქმების შესწავლას. როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველა შემთხვევაში იყო განსაზღვრული და წინასწარ გამოქვეყნებული განაცხადის შეფასების კრიტერიუმები. კვლევის მონაწილეთა განმარტებით, კრიტერიუმების წინასწარ გამოქვეყნება, ერთი მხრივ, ხელს უწყობს მონაწილე ორგანიზაციებს, გააუმჯობესონ განაცხადის ხარისხი და, მეორე მხრივ, ამაღლებს საჯარო უწყებისადმი ნდობას, რომ ობიექტურად შეფასდება განაცხადები.

წარმოდგენილ განაცხადში ხარვეზის გამოსწორების წესი გათვალისწინებულია ყველა საჯარო უწყების გრანტის გაცემის წესში. განაცხადის მიღების შემდეგ საგრანტო პროგრამის ადმინისტრირების ორგანო (საბჭო/სამდივნო/აპარატი) ამოწმებს განაცხადების ხარისხს და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უკავშირდება განმცხადებელ ორგანიზაციას, რათა გარკვეული ვადის ფარგლებში (2-5 სამუშაო დღე) აღმოფხვრას ხარვეზი. იმ ორგანიზაციების მოსაზრებით, რომელთაც ჰქონიათ მსგავსი გამოცდილება, განერილი დრო სრულიად საკმარისია ხარვეზის აღმოსაფხვრელად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განმცხადებელს უწევს ხარვეზის შევსების მიზნით დოკუმენტაციის ფიზიკურად წარდგენა. ეს ვრცელდება იმ საჯარო დაწესებულებებზე, რომლებიც განაცხადების მიღებას ახორციელებენ ფიზიკური და არა ელექტრონული ფორმით.

სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს გარდა, ყველა საჯარო უწყება იყენებს ქულათა სისტემას, რომლის მიხედვითაც აფასებს საგრანტო განაცხადს. შესწავლილი დოკუმენტაციის მაგალითზე დადგინდა, რომ შეფასებები არის სხდომის ოქმის ნაწილი და ქვეყნდება უწყების მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით საჯაროდ (მაგ.: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი) ან გაზიარებულია მონაწილეებთან მოთხოვნის შესაბამისად.

გრანტის გამცემ უწყებებს სრულიად აქვთ დაცული მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილი ის საკითხები, რომლებსაც უნდა შეიცავდეს ოქმი. აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილების კომენტარის სახით დასაბუთება არც ერთ შემთხვევაში არ არის მოთხოვნილი საკანონმდებლო აქტით. მიუხედავად იმისა, რომ შემფასებლებს აქვთ საშუალება, მინიჭებულ ქულასთან ერთად მცირე განმარტებაც დაურთონ თან, ამ მექანიზმს ნაკლებად იყენებენ პრაქტიკაში. იმ ორგანიზაციების დაკვირვებით, რომელთაც 2018 წელს კონკურსში მიიღეს მონაწილეობა, მაგრამ დაფინანსება ვერ მოიპოვეს, გამოქვეყნებული ოქმები სრულიად არ ასახავს გადაწყვეტილების მიღების საფუძველს. მონაწილეთა ნაწილის განცხადებით, სასურველი იქნება, თუ თითოეულ კრიტერიუმს და მისთვის მინიჭებულ ქულას და/ან დადებით-უარყოფით შეფასებას დაემატება ნარატიული განმარტებაც, რათა

შეფასება უფრო გაზომვადი და განჭვრეტადი გახდეს.

ცხრილი 9: საგრანტო განაცხადების შეფასების მექანიზმი

საჯარო დანებებულება	საგრანტო განაცხადების განხილვის ვადა	გადანყვეტილების მიღების წესი/საშუალო ქულის ბარიერი
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო www.justice.gov.ge	10 სამუშაო დღე	საშუალო არითმეტიკულით/თუ ნაკლებია 50 ქულაზე, შესაძლებელია განაცხადის უარყოფა;
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო www.moh.gov.ge	15 სამუშაო დღე	ქულათა სისტემით/არ არის მინიმალური ქულა დადგენილი;
სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი www.tpdcenteri.gov.ge	30 კალენდარული დღე	მინიმუმ 54 ქულა მაქსიმალური 75 ქულიდან;
სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი www.rustaveli.org.ge	არ არის განსაზღვრული	მინიმუმ 33 ქულა მაქსიმალური 55 ქულიდან (განსხვავებულია კონკურსის მიხედვით);
სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი www.electionreforms.gov.ge	არ არის განსაზღვრული	საშუალო არითმეტიკული/არანაკლებ 70 ქულისა;
სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო www.gita.gov.ge	30 კალენდარული დღე	დამსწრეთა ხმათა უმრავლესობა;
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო www.adjara.gov.ge	არ არის განსაზღვრული	კომისიის გადანყვეტილებას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი; გადანყვეტილებას იღებს მინისტრი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გრანტის გაცემის წესის მიხედვით, საგრანტო კომისიის გადაწყვეტილებას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი და საბოლოო გადაწყვეტილებას პროექტის დაფინანსების შესახებ იღებს მინისტრი. გრანტის გაცემის წესი არ ითვალისწინებს საფუძვლებს ან კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც მინისტრი ამტკიცებს ან უარს ამბობს საგრანტო დაფინანსების გაცემაზე. პროცესის გამჭვირვალობისთვის და ობიექტურობის მაღალი ხარისხის შესანარჩუნებლად აუცილებელია, რომ საგრანტო კომისია იყოს მეტად დამოუკიდებელი და თავად იღებდეს გადაწყვეტილებას წარდგენილი საგრანტო განაცხადების დადებითად ან უარყოფითად შეფასების შესახებ.

გასულ წლებთან შედარებით ცვლილება არის განხორციელებული ორი საჯარო უწყების (სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი) გრანტის გაცემის წესში, რომლის მიხედვითაც ორივე უწყების შემთხვევაში საგრანტო განაცხადის ვადა განსაზღვრულია 30 კალენდარული დღით. 2017 წელს ეს ვადა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვის იყო 15 კალენდარული დღე, ხოლო სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთვის - 90 დღე. აღსანიშნავია კიდევ ერთი ცვლილება სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს გრანტის გაცემის წესში, რომლის მიხედვითაც მცირე საგრანტო კონკურსების შეფასებისათვის შექმნილია ორი კომისია: ინოვაციების ხელშემწყობი ღონისძიების ორგანიზებისთვის საგრანტო დაფინანსების საკითხს წყვეტს შიდა საკონკურსო კომისია, რომელიც 5 წევრისგან შედგება. აღნიშნული გადაწყვეტილება საჯარო უწყების მიერ დასაბუთებულია, როგორც უფრო ეფექტური და მოქნილი სისტემა, დროულად მიიღოს განმცხადებელმა პასუხი კონკურსის დაფინანსების ან უარყოფის შესახებ. შეფასების შემცირებული ვადები და მცირერიცხოვანი კომიტეტი, საჯარო უწყების წარმომადგენლის განმარტებით, უზრუნველყოფს უფრო ეფექტურ საკონკურსო გარემოს.

2018 წელს კიდევ ერთი ცვლილება განხორციელდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესში. კერძოდ, საგრანტო საბჭოს უფლება აქვს, „საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაზუსტების

მიზნით მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია და განმცხადებელს ამისათვის განუსაზღვროს დამატებითი ვადა. ასევე, საგრანტო განაცხადის დაზუსტების მიზნით, საბჭო უფლებამოსილია მოითხოვოს განმცხადებელთან შეხვედრა. ამის შესახებ განმცხადებელს უნდა ეცნობოს სხდომამდე არა უგვიანეს 2 დღისა.”

საგრანტო კონკურსის შესახებ გადანყვეტილება ქვეყნდება საჯარო უწყებების ოფიციალურ ვებგვერდებზე და სოციალურ ქსელში. კვლევის ფარგლებში შემონმდა გრანტის გამცემი საჯარო უწყებების ოფიციალური ვებგვერდების საჯარო ინფორმაციის გვერდი. ზოგიერთ საჯარო უწყებას სრულად არ აქვს ნარმოდგენილი გაცემული გრანტების შესახებ ინფორმაცია. ყველაზე სრულყოფილი მონაცემები გამოქვეყნებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ არა საჯარო ინფორმაციის გვერდის საშუალებით, არამედ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ - ოფიციალურ ვებგვერდზე. სხვა უწყებების შემთხვევებში ნარმოდგენილია ნაწილობრივი ინფორმაცია, რომელიც საჭიროებს განახლებას.

3.1. გასაჩივრების მექანიზმი

ამ ქვეთავში ნარმოდგენილია სამართლებრივი აქტების შესწავლის შედეგად და ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზი გრანტის გაცემის შესახებ გადანყვეტილების გასაჩივრების შიდა და გარე მექანიზმის შესახებ.

გრანტის გამცემის მიერ მიღებული გადანყვეტილება გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ ნარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის გასაჩივრების ვადა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, შეადგენს 30 დღეს. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, არსებობს შიდა გასაჩივრების მექანიზმი - განაცხადის შედეგის გასაჩივრება ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში და გარე მექანიზმი - განაცხადის შედეგის გასაჩივრება სასამართლოში. აღსანიშნავია, რომ ეს წესი მოქმედებს იმის მიუხედავად, ითვალისწინებს თუ არა გრანტის გაცემის წესის გასაჩივრების პროცედურას.

გრანტის გამცემი შვიდი უწყებიდან მხოლოდ ერთის, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, გრანტის გაცემის წესი არ ითვალისწინებს გასაჩივრების მექანიზმს და საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების ვადად გამარჯვებულის გამოვლენიდან 10 დღეს განსაზღვრავს. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, უპირატესობა ენიჭება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებს და, შესაბამისად, დაინტერესებულ პირებს აქვთ უფლება, მიმართონ გასაჩივრების მექანიზმს. სხვა უწყებების შემთხვევაში გვხვდება გასაჩივრების სტანდარტული პროცედურა.

კანონმდებლობით დადგენილი გასაჩივრების წესისგან დამატებით განსხვავებულ პირობას შეიცავს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის მიხედვითაც გასაჩივრების შემთხვევაში არ ჩერდება აქტის მოქმედება და გრანტის მიმღები უფლებამოსილია, გააფორმოს ხელშეკრულება. აღნიშნული ჩანაწერი ქმნის მნიშვნელოვან წინააღმდეგობას ზემდგომ ნორმატიულ აქტებთან. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი რეგულირება ემსახურება გრანტის გაცემის პროცესის ეფექტურობის ხარისხის გაუმჯობესებას, რათა დროში არ გაჭიანურდეს და საფრთხე არ შეექმნას საგრანტო პროგრამის მიზნების დროულ შესრულებას, მნიშვნელოვანია, ამ საკითხის რეგულირება მოხდეს საკანონმდებლო დონეზე, რაც, პირველ რიგში, „გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილებებს გულისხმობს.

შესწავლილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2018 წელს გასაჩივრებულია სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორის 2018 წლის 2 ივლისის #1-202 ბრძანება, რომლითაც ერთ-ერთ განმცხადებელს უარი ეთქვა გრანტის მიღებაზე. აღსანიშნავია, რომ მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა ამავე დაწესებულებაში 2016 წელს. სხვა წლებში, საჯარო ინფორმაციის შედეგად მიღებული ინფორმაციით, არ გვხვდება გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევები.

კვლევაში მონაწილე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ გასაჩივრების პროცედურები დროში განელილია და დამატებით რესურსს საჭიროებს. ამის გამო მონაწილეები ხშირად თავს არიდებენ ამ მექანიზმით სარგებლობას. ზოგიერთი რესპო-

დენტი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებას აზრი არ აქვს, რადგან საგრანტო ხელშეკრულება გასაჩივრების ეტაპზე უკვე დადებულია გამარჯვებულთან და სასამართლო პროცედურები კი შეიძლება თვეობით გაგრძელდეს.

რაც შეეხება 2018 წელს გასაჩივრებულ ერთადერთ გადანყვეტილებას, საჩივარი შეეხებოდა საგრანტო კომისიის ორი წევრის შეფასებას, რომელსაც არაობიექტურად და მიკერძოებულად მიიჩნევდა განმცხადებელი და ითხოვდა განაცხადის თავიდან შეფასებას. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ არ დააკმაყოფილა საჩივარი, რის ერთერთ საფუძვლად მოყვანილია ანალოგიური შინაარსის დავაზე „თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება (საქმე N3/8587-15)“, რომელშიც აღნიშნულია, რომ საგრანტო საკონკურსო კომისიის წევრების მიერ გაკეთებული შეფასებები ეფუძნება კომისიის თითოეული წევრის პირად პროფესიულ შეფასებას, შინაგან რწმენასა და პირად აღქმას, რაც საკანონმდებლო რეგულაციის მიღმა არსებობს და იგი არ ფასდება კანონთან მიმართებით. ანალოგიური მტკიცება გამყარებულია აგრეთვე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 26 სექტემბრის განჩინებით (ბს-300-291(კ-13)), რომელშიც განიმარტა, რომ კოლეგიური ორგანოს, სათათბირო ორგანოს ან საზოგადოებრივი ექსპერტის დასკვნის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შემოწმება დაიშვება მხოლოდ კანონიერების და არა მიზანშეწონილობის თვალსაზრისით.“

4. საჯარო ინსტიტუტის მიერ საგრანტო პროექტების განხორციელების მონიტორინგი და შეფასება

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მონიტორინგის ამ ეტაპზე შევისწავლეთ, თუ რა მექანიზმებით აფასებს გრანტის გამცემი საჯარო დაწესებულება მის მიერ გაცემული გრანტის განხორციელებას. ამ კუთხით, ძირითადი მიგნებები ეფუძნება როგორც დოკუმენტურ ანალიზს, მათ შორის გრანტის მიმღებთან გაფორმებული ხელშეკრულებების, ისე ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას.

დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ გრანტის გამცემ ყველა საჯარო უწყებას აქვს შემუშავებული დაფინანსებული პროექტების

მონიტორინგის მექანიზმი და გამოყოფილია შესაბამისი პირი/პირთა წრე, რომლებიც ახორციელებენ პროგრამულ და ფინანსურ მონიტორინგს. გრანტის გამცემი უწყებები აფასებენ გაცემული გრანტის განხორციელების შესაბამისობას გაცემის მიზნობრიობასა და დაგეგმილ აქტივობებთან.

გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ ყველა საჯარო დაწესებულებას აქვს ვალდებულება, გააფორმოს წერილობითი საგრანტო ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს პროექტის ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის ფორმასა და პერიოდულობას. ყველა უწყების შემთხვევაში სავალდებულოა პროექტის პროგრამული და ფინანსური მონიტორინგი. გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, გრანტის მიმღებისაგან მოთხოვნილია შუალედური და საბოლოო ანგარიშები, რომლებშიც დეტალურად უნდა იყოს აღწერილი შესრულებული სამუშაო და თან ერთვოდეს შესაბამისი ფოტო-ვიდეო მასალა, მონაწილეთა დასწრების ფორმა, სამართლებრივი დოკუმენტები, ხელშეკრულებები, გადარიცხვის დამადასტურებელი ქვითრები და ა.შ.

მონიტორინგის მექანიზმი მოიცავს სატელეფონო კომუნიკაციას, საველე ვიზიტებსა და ღონისძიებებზე დასწრებას. საველე ვიზიტები, ჩვეულებრივ, ხორციელდება გრანტის მიმღებ ორგანიზაციასთან შეთანხმების საფუძველზე და წინასწარ შედგენილი გრაფიკით. სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრს, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა ყოფილ სამინისტროს აქვთ პროექტის მონიტორინგის დოკუმენტურად დადასტურებული ანგარიშები. სხვა უწყებების შემთხვევაში გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტი მხარეებს შორის, რაც ადასტურებს შესრულებულ სამუშაოს. აღსანიშნავია, რომ გრანტის მიმღებმა რამდენიმე ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ ადგილზე ვიზიტი მონიტორინგის მიზნებისთვის არ განხორციელებულა გრანტის გამცემის მხრიდან. მათ მხოლოდ საბოლოო ანგარიშგებით მიიღეს ინფორმაცია განხორციელებული აქტივობების შესახებ, რაც ნეგატიურად შეფასდა რესპოდენტების მიერ.

ანგარიშგების ვადები განსხვავდება უწყებების მიხედვით. უმეტეს შემთხვევაში გვხვდება კვარტალური, ყოველთვიური და საბოლოო ანგარიშგება,

თუმცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შემთხვევაში არსებობს ყოველკვირეული ანგარიშგების პრაქტიკაც, რაც გრანტის გაცემის წესით არის დარეგულირებული - გრანტის გამცემს ნებისმიერ დროს შეუძლია მოსთხოვოს გრანტის მიმღებს პროგრამული და ფინანსური ანგარიში. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნაწილი მიიჩნევს, რომ ინტენსიური ანგარიშგება დიდ ადმინისტრაციულ და დროის რესურსს მოითხოვს, რომელიც შესაძლოა პროგრამულ აქტივობებზე უფრო ეფექტურად გადაიხარებოდეს. რესპოდენტები მიესალმებიან სახელმწიფო ორგანიზაციების მხრიდან განხორციელებულ ადგილზე ვიზიტებს, რაც განსაკუთრებით კარგი საშუალებაა პროექტის შედეგების უკეთ წარმოსაჩინად/ვიზუალიზაციისთვის.

ფინანსური ანგარიშგების შესწავლას საჯარო უწყებები საკუთარი შიდა რესურსებით ართმევენ თავს, გარდა სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრისა, რომელიც ფინანსური ანგარიშის კონტროლს ახორციელებს ცენტრის გარეთ - ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საშუალებით. აღნიშნული მიდგომა დასაბუთებულია სწავლების ცენტრის მცირე ადამიანური რესურსით. ფინანსური დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ ყველა საგრანტო ხელშეკრულება ითვალისწინებს აუთვისებელი ბიუჯეტის სახელმწიფო ხაზინაში დაბრუნების ვალდებულებას. სსიპ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს შემთხვევაში წინასწარ ზუსტად არ იყო დადგენილი, თუ რა დოკუმენტაცია უნდა წარედგინა გრანტის მიმღებს ანგარიშგებისთვის. ხშირად ხდებოდა, როდესაც დასრულებული პროექტის/ათვისებული ბიუჯეტის შემდეგ იგებდნენ, რომ კონკრეტული დოკუმენტი უნდა შეემუშავებინათ, რაც ხშირად იწვევდა ბიუჯეტის შემცირებას და უწევდათ უკვე ათვისებული თანხის უკან დაბრუნება. მეორე მხრივ, პრობლემა იყო საგრანტო თანხის ბოლო 10%-ის გადარიცხვა გრანტის მიმღების ანგარიშზე პროექტის დასრულების შემდეგ. რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ თანხის ჩარიცხვა ძალიან იგვიანებდა, ზოგს კი საერთოდ არ მიუღია.

რაც შეეხება საგრანტო პროექტების აუდიტს, ასეთი მიდგომა არც ერთი საჯარო უწყების შემთხვევაში არ გვხვდება. გრანტის გამცემები აღნიშნავენ, რომ საგრანტო კომპონენტი არის უწყების წლიური აუდიტის ნაწილი და

განცალკევებულად მისი შეფასება არ ხდება.

მონიტორინგის ამ ეტაპზე შეფასდა საგრანტო პროგრამების ეფექტურობაც. ასეთი ვალდებულება, გრანტის გაცემის წესის მიხედვით, არც ერთ საჯარო უწყებას არ აქვს. შესაბამისად, არ არსებობს სახელმწიფო საგრანტო პროგრამების ეფექტურობის ფართომასშტაბიანი კვლევა, რომელიც განამტკიცებს ინტერვენციის საჭიროებას და განსაზღვრავს მიღწეულ შედეგებს. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მაღალბიუჯეტიან პროექტებზე მსგავსი კვლევა აუცილებელია ჩატარდეს პერიოდულად, რათა სახელმწიფოს ჰქონდეს ზუსტი ინფორმაცია, რა შედეგი დადგა კონკრეტული საგრანტო პროგრამის განხორციელებით გრძელვადიან პერსპექტივაში. მათ აღნიშნეს, რომ მსგავსი კვლევა საჭიროა როგორც საგრანტო პროგრამის შემუშავების, ასევე მისი შესრულების შემდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ დაფინანსებული საგრანტო პროექტების მონიტორინგის თვალსაზრისით ცვლილება არ განხორციელებულა 2016, 2017 და 2018 წლებში. საჯარო უწყებები დადგენილი პრაქტიკით განაგრძობენ პროექტების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.

5. ზოგადი მიზნებები

დოკუმენტრუნვის ელექტრონული სისტემა: კვლევაში მონაწილე გრანტის მიმღებმა ორგანიზაციებმა აღნიშნეს, რომ კარგი იქნებოდა, თუ საჯარო უწყებები უზრუნველყოფდნენ არა მხოლოდ საგრანტო განაცხადების წარდგენას ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით, არამედ საშუალება ექნებოდათ, პროექტის განხორციელების ეტაპზე ამავე პლატფორმის მეშვეობით წარედგინათ პროგრამული და ფინანსური ანგარიშები. აღნიშნულის საშუალებას ჯერჯერობით მხოლოდ იუსტიციის სამინისტროს ელექტრონული პორტალი იძლევა. მონაწილეები აღნიშნავენ, რომ მსგავსი მიდგომა მეტად გააადვილებდა საგრანტო პროექტის განხორციელების პროცესს.

ბიუჯეტის განაწილება: გრანტის მიმღებები მიიჩნევენ, რომ ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო გრანტებით არ ფინანსდება ოფისის იჯარა, მანქანის მოვლა-პატრონობისა და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები, რომლებიც საარსებოდ მნიშვნელოვანია გრანტის მიმღები ორგანიზაციისთვის. ამის გარდა,

სახელმწიფო გრანტების ფარგლებში, როგორც წესი, ფინანსდება 20%-25% ადმინისტრაციული ხარჯი, რაც ხშირად არ არის საკმარისი პროექტის ეფექტურად განსახორციელებლად. ამ შემთხვევაში გრანტის მიმღებნი სხვა დონორებისგან ახერხებენ ხარჯების დაბალანსებას, რათა შეასრულონ დაკისრებული ვალდებულება. მათი აზრით, ადმინისტრაციული ხარჯები/ხელფასები, სულ მცირე, 35%-ით უნდა ფინანსდებოდეს პროექტში.

პროექტების მდგრადობა: კვლევაში მონაწილე ორგანიზაციებმა აღნიშნეს, რომ ხშირად სახელმწიფო გრანტები არის მოკლევადიანი და არ არის გათვლილი გრძელვადიან შედეგებზე. შესაბამისად, არ არის უზრუნველყოფილი პროექტის მდგრადობა. აუცილებელია, მკაფიოდ განისაზღვროს თითოეული საგრანტო პროგრამის გრძელვადიანი შედეგი და გამოიყოს შესაბამისი თანხები ამ მიზნების მისაღწევად.

სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თანამშრომლობა: ჩატარებული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების მონაწილეების უმეტესობა აღნიშნავს, რომ ქართული არასამთავრობო სექტორი დაინტერესებულია, მიიღოს სახელმწიფო დაფინანსება. მათი აზრით, საქართველომ შეიძლება გაიზიაროს ევროპისა და აშშ-ის პრაქტიკა, სადაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები უმეტესად სახელმწიფო გრანტებს იღებენ და ახორციელებენ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პროექტებს. ისინი მიიჩნევენ, რომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს სამოქალაქო სექტორის მდგრადობას, მაქსიმალურად ითანამშრომლოს მასთან, მოახდინოს სერვისების აუთსორსინგი და ადგილობრივ დონეზე გაიჩინოს პარტნიორი სხვადასხვა სოციალური და მონყვლადი ჯგუფებისთვის ხარისხიანი სერვისის შესათავაზებლად. აღნიშნული თანამშრომლობა მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როდესაც საერთაშორისო დონორები/ორგანიზაციები ეტაპობრივად ასრულებენ მისიებს საქართველოში და აღარ გასცემენ გრანტებს საქართველოში განსახორციელებელი პროექტებისათვის. იმისათვის, რომ საერთაშორისო პარტნიორების ფინანსური ძალისხმევით დაწყებული პროექტები გაგრძელდეს, აუცილებელია სახელმწიფომ გამოიყოს შესაბამისი ფინანსური რესურსი.

ადგილობრივი თვითმმართველობების როლი: კვლევის მონაწილეებმა აღ-

ნიშნებს, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ადგილობრივი ხელისუფლება ჩაერთოს საგრანტო საქმიანობაში და ხელი შეუწყოს ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების ფორმირებას. მათ უნდა ითანამშრომლონ, რათა ერთად შექმნან უკეთესი გარემო მოსახლეობისთვის.

„სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას სჭირდება მხარდაჭერა, რომ დარჩეს საკუთარ თემში და არ გადავიდეს საცხოვრებლად უახლოეს დიდ ქალაქში. სამოქალაქო საზოგადოება ქმნის სახელმწიფოს და სწორედ სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი სამოქალაქო სექტორის გაძლიერებას.“

➤ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენელი

ტენდერების მეშვეობით სერვისის შესყიდვის პრაქტიკა: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ ხშირია სახელმწიფოს მხრიდან სერვისის (ტრენინგი, ღონისძიების ორგანიზება, კვლევა) შესაძენად ელექტრონული ტენდერის პრაქტიკა. ისინი თვლიან, რომ სახელმწიფო ორგანიზაციები უნდა ორიენტირდნენ სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობაზე და, ნაცვლად ტენდერისა, საგრანტო კონკურსი გამოაცხადონ, რომელშიც არა მხოლოდ ფასი, არამედ სერვისის ხარისხი იქნება შეფასებული. ეს გარკვეულწილად დაზოგავს სახელმწიფო რესურსსაც, რადგან გრანტი არ იბეგრება, განსხვავებით სატენდერო ხელშეკრულებისა.

ბენეფიციარების შერჩევა: სამოქალაქო სექტორის ზოგიერთი წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ხშირია ერთი და იმავე პირების ბენეფიციარებად ჩართვა საგრანტო პროექტებში. აუცილებელია, სახელმწიფო რესურსი მივიდეს რაც შეიძლება მეტ მოსახლემდე, ამის შესახებ გაიგონ მათ, ვისაც არასოდეს მიუღია მონაწილეობა საგრანტო პროექტში.

V. რეკომენდაციები

განხორციელებული კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა გათვალისწინებაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო გრანტების გაცემის ადმინისტრირების პროცესის ეფექტურობას, ხარისხის ამაღლებას, გამჭვირვალობასა და სანდოობას. წინამდებარე რეკომენდაციები შემუშავებულია კვლევის ფარგლებში გაანალიზებული ინფორმაციის, ჩატარებული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების შედეგად გამოვლენილი მიგნებების გათვალისწინებით.

- საგრანტო პროგრამის პრიორიტეტებს საფუძვლად უნდა დაედოს შესაბამისი ემპირიული კვლევა, რაც გაამყარებს საგრანტო ინტერვენციის საჭიროებას;
- საგრანტო პრიორიტეტების შემუშავებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის (ექსპერტების, სამოქალაქო სექტორის, სამიზნე ჯგუფების და ა.შ.) მაქსიმალური ჩართულობა, რათა სფეროში დაგროვებული გამოცდილების შესაბამისად შემუშავდეს საგრანტო პროგრამები;
- გამოცხადებული საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაცია უნდა გავრცელდეს არა მხოლოდ უწყებების ოფიციალური ვებგვერდით, არამედ სოციალური მედიითა და საიტებით www.jobs.ge www.csogeorgia.org ;
- სახელმწიფო უწყებებმა უნდა დანერგონ საგრანტო პროგრამის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ საგრანტო განაცხადების წარდგენის, არამედ პროექტის განხორციელების ეტაპზე კომუნიკაციის/ანგარიშების ატვირთვის საშუალებას;
- საგრანტო საბჭოს წევრებმა ქულათა სისტემასთან ერთად უნდა წარმოადგინონ პროექტის შესაფასებლად რამდენიმე კომენტარი, რათა განმცხადებელმა მომავალში გაითვალისწინოს მიღებული უკუკავშირი;
- მაქსიმალურად გაიზარდოს დამოუკიდებელი/საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების რაოდენობა შემფასებელი კომისიის შე-

მადგენლობაში, რათა პროცესი უფრო გამჭვირვალედ და ობიექტურად წარიმართოს;

- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უნდა გაიზარდოს და თითოეული ინსტიტუტის მიერ გაცემული გრანტების შესახებ უწყების ვებგვერდზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნდეს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს #219 დადგენილების შესაბამისად;
- აუცილებელია, განხორციელდეს საგრანტო პროგრამების ეფექტიანობის კვლევა როგორც საგრანტო პროგრამის დაგეგმვის, ასევე მისი დასრულების შემდეგ;
- გაიზარდოს სახელმწიფო დაფინანსების შესაძლებლობები სამოქალაქო სექტორისთვის, რათა წლების განმავლობაში დაგროვებული გამოცდილება სახელმწიფომ გამოიყენოს მოწყვლადი ჯგუფებისათვის სერვისების შესათავაზებლად;
- ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა მაქსიმალურად ითანამშრომლონ სამოქალაქო სექტორთან და ხელი შეუწყონ სათემო ორგანიზაციების განვითარებას, რათა სახელმწიფო სერვისებით ისარგებლოს სხვადასხვა ბენეფიციარმა, მათ, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდებათ ეს;
- სპეციალური მონაწილეობითი პლატფორმის შექმნა სახელმწიფო გრანტის გამცემი საჯარო უწყებების პროგრამის ადმინისტრირებაში ჩართული პირებისთვის გრანტის გაცემის პროცესში დაგროვილი ცოდნის, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების საფუძველზე, გთხოვთ, გვაცნობოთ, არის თუ არა უფლებამოსილი და გაცემს თუ არა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ან/და მისი მმართველობის ქვეშ მოქმედი რომელიმე საჯარო სამართლის იურიდიული პირი არაკომერციულ იურიდიულ პირებზე გრანტებს.

დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, შეავსოთ თანდართული ცხრილი (დანართი #1 სამ ფურცლად) და დამატებით უპასუხოთ შემდეგ კითხვებს:

1. რამდენი საგრანტო კონკურსი გამოცხადდა 2018 წელს?
2. რამდენი საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდა 2018 წელს?
3. გთხოვთ, მოგვანოდოთ გრანტის გაცემის წესი და ყველა სამართლებრივი დოკუმენტი, რომლებიც არეგულირებს გრანტის გაცემის პროცესს.
4. რას შეადგენდა 2018 წელს საგრანტო პროექტებისთვის გამოყოფილი ჯამური ბიუჯეტი და რამდენის ათვისება მოხდა 2018 წელს?

აღნიშნული ინფორმაცია, გთხოვთ, მომანოდოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად, გთხოვთ, თანდართული ცხრილი, ასევე, ის ინფორმაცია, რომელიც ინარმოება ელექტრონულად ან/და შესაძლებელია მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მომანოდოთ ელექტრონული დოკუმენტის სახით შემდეგ მისამართზე _____ ხოლო დანარჩენი ინფორმაცია ქსეროასლის სახით მისამართზე: _____;

გაცნობებთ, რომ მზად ვარ, გადავიხადო „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.

პატივისცემით,

სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების,
რეფორმებისა და სწავლების ცენტრის
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

ა(ა)იპ „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი“ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში ახორციელებს 2018 წელს გაცემული სახელმწიფო გრანტების ადმინისტრირების პროცესის მონიტორინგს. კვლევის ეფექტურად ჩატარების მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების საფუძველზე, გთხოვთ, მოგვანოდოთ 2018 წელს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ გამოცხადებული ყველა საგრანტო კონკურსის:

1. ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ყველა ბრძანება დაა პროგრამაში წერილის მიღების მომენტამდე შეტანილი ცვლილებები (არსებობის შემთხვევაში);
2. ყველა სამართლებრივი აქტი საგრანტო პროგრამის ადმინისტრირებისთვის შექმნილი ორგანოს (საბჭო/კომისია) დაფუძნების შესახებ;
3. საგრანტო პროგრამის ადმინისტრირებისთვის შექმნილი ორგანოს (საბჭო/კომისია) 2018 წლის სხდომის ოქმები;
4. აღნიშნულ კონკურსის ფარგლებში გრანტის გაცემის/საგრანტო კონკურსის ოფიციალური განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია და შეფასების კრიტერიუმები;
5. აღნიშნულ კონკურსზე საკომუნიკაციო საშუალებების ჩამონათვალი, რა გზითაც გავრცელდა ინფორმაცია /კონკურსის ოფიციალური განაცხადი;
6. გრანტის შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) დაკომპლექტებას-

თან დაკავშირებით მიღებული სამართლებრივი აქტი;

7. გრანტის შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) სხდომების ოქმები;

8. გრანტის შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) მიერ კონკურსანტების შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

9. კონკურსის პროცედურებთან და მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული საჩივრები - საჩივრის ტექსტი, მხარეთა არგუმენტაცია, დავების განმხილველი ორგანოს დასკვნა (თითოეულ გამოცხადებულ გრანტზე/კონკურსზე ცალ-ცალკე, არსებობის შემთხვევაში);

10. კონკურსის ფარგლებში გაცემული გრანტების მიმღებებთან დადებული შემდეგი საგრანტო ხელშეკრულებები დანართებით (მხოლოდ ის ხელშეკრულებები, სადაც გრანტის მიმღები არასამენარმეო იურიდიული პირია): #19, #16, #18, #1, #4, #8, #2, #14, #12, #10, #15, #11, #5, #24, #31, #30, #33, #29, #32, #27, #36, #39, #44, #42, #43, #52, #50, #48, #61, #56, #67, #63, #60, #59, #55;

11. კონკურსის ფარგლებში გაცემული გრანტების მიმღებებთან დადებული ზემოთჩამოთვლილი საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში გრანტის მიმღებების მიერ ჩაბარებული ფინანსური და პროგრამული (ყოველთვიური/შუალედური და საბოლოო) ანგარიშები და მიღება-ჩაბარების აქტები (მხოლოდ ის ხელშეკრულებები, სადაც გრანტის მიმღები არასამენარმეო იურიდიული პირია);

12. ამავე ხელშეკრულებების აუდიტი და დასკვნა (თითოეულ გაცემულ გრანტზე ცალ-ცალკე, არსებობის შემთხვევაში);

13. ამავე ხელშეკრულებების ფარგლებში გაცემული გრანტების განხორციელების მონიტორინგის მეთოდოლოგია (თითოეულ გაცემულ გრანტზე ცალ-ცალკე);

14. ამავე ხელშეკრულებების ფარგლებში გაცემული გრანტების განხორციელების მონიტორინგის დასკვნები (თითოეულ გაცემულ გრანტზე ცალ-ცალკე);

15. ამავე ხელშეკრულებების ფარგლებში გაცემული გრანტების დაფინანსების ცვლილების ან შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტები და შესაბამისი გადანყვეტილებები (თითოეულ გაცემულ გრანტზე ცალ-ცალკე);

16. ამავე ხელშეკრულებების ფარგლებში გაცემული გრანტების ეფექტიანობის შეფასების დოკუმენტი (თითოეულ გაცემულ გრანტზე ცალ-ცალკე);

17. 2018 წლის საგრანტოს პროგრამის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტი;

კვლევის ეფექტურად ჩატარების მიზნით, გვაქვს სურვილი შევხვდეთ საგრანტო საქმიანობაზე პასუხისმგებელ პირს. გთხოვთ, მოგვანოდოთ მისი საკონტაქტო.

გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მომანოდოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-მუხლის თანახმად, გთხოვთ, ის ინფორმაცია, რომელიც ინარმოება ელექტრონულად ან/და შესაძლებელია მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მომანოდოთ ელექტრონული დოკუმენტის სახით შემდეგ მისამართზე ----- ხოლო დანარჩენი ინფორმაცია ქსეროასლის სახით მისამართზე: -----;

გაცნობებთ, რომ მზად ვარ გადავიხადო „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.

პატივისცემით,

სახელმწიფო გრანტების გაცემის მონიტორინგი

თანხმობის ფორმა

„სახელმწიფო გრანტების გაცემის მონიტორინგს“ ახორციელებს ა(ა)იპ „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი“ ა(ა)იპ „კონრად ადენაუერის ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში“ და ევროპის გაერთიანებას შორის გაფორმებული ----- საგრანტო ხელშეკრულების (პროექტი: „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“) ფარგლებში.

კვლევის პროცესში ღირებული ცოდნის შესაქმნელად დაგეგმილია ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების სერიის ჩატარება. ინტერვიუს ხანგრძლივობა მოიცავს 45-55 წუთს. მის დაწყებამდე რესპოდენტები გაეცნობიან კვლევის მიზნებს და სურვილის შემთხვევაში, თანხმობის ფორმის საფუძველზე, დაადასტურებენ მონაწილეობას. თანხმობის ფორმა მოიცავს ინფორმაციას კვლევის ამოცანებზე და შედეგების გამოყენებაზე. ინტერვიუს მიმდინარეობისას მოხდება ხმის ჩანერა, რესპოდენტ(ებ)ის თანხმობის გათვალისწინებით.

რესპოდენტს შეუძლია ნებისმიერ დროს (ინტერვიუს მიმდინარეობისას ან მის შემდეგ) შეწყვიტოს და უარი განაცხადოს კვლევაში შემდგომ მონაწილეობაზე.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ:

- კვლევის დროს მიღებული ინფორმაცია მკაცრად კონფიდენციალურია;
- კვლევის გამოქვეყნებისას რესპოდენტის სახელები არ იქნება ნახსენები;
- რესპოდენტს შეუძლია ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს კვლევაში მონაწილეობაზე;
- კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოქვეყნებული იქნება ანგარიშის სახით.

ამ დოკუმენტის გაცნობის შემდეგ ვადასტურებ კვლევაში მონაწილეობას

და ვამონმებ ხელმონერით:

რესპოდენტის

სახელი: _____ თარიღი: _____

ხელმონერა _____

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე. მადლობას გიხდით კვლევაში მონაწილეობისთვის!

საკონტაქტო ინფორმაცია:

ჩალრმავებული ინტერვიუ
გრანტის გამცემი უწყების წარმომადგენელი

ინტერვიუს თარიღი:	
გრანტის გამცემი სახელმწიფო სტრუქტურა:	
რესპოდენტის პოზიცია:	

პროცესის დაწყებამდე, დარწმუნდით, რომ:

- ✓ რესპოდენტი ინფორმირებულია ინტერვიუს მიზნების, დროისა და ადგილის შესახებ;
- ✓ რესპოდენტი აცხადებს (წერილობით) თანხმობას კვლევაში ჩართვაზე;
- ✓ შეარჩიეთ წყნარი ადგილი და მოსახერხებელი დრო ინტერვიუსთვის;
- ✓ მოამზადეთ დიქტოფონი, შეამოწმეთ და თან იქონიეთ დამატებითი ელემენტები;
- ✓ ინტერვიუს დაწყებამდე მოამზადეთ ფურცელი და კალამი კომენტარების მოსანიშნად.
პროცესის მიმდინარეობისას, ყურადღება მიაქციეთ:
- ✓ არავერბალურ ნიშნებს, ემოციებსა და უესტიკულაციას;
- ✓ ინტერვიუს დაწყებამდე გაეცანით რესპოდენტს და საშუალება მიეცით თავი კომფორტულად იგრძნოს. ეს დაგეხმარებათ ნდობის მოპოვებაში;
- ✓ ჩაულრმავდით შეკითხვებს; გამოიყენეთ ფრაზები: „შეგიძლიათ მოიყვანოთ მაგალითი; იქნებ უფრო დეტალურად აღწეროთ“; და ა.შ);
- ✓ საჭიროების შემთხვევაში კითხვა დააკონკრეტეთ, ხოლო პერიფრა-

ზის სახით დააზუსტეთ მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაცია;

✓ განხილვის ბოლოს შეაჯამეთ ინტერვიუს დროს წამოჭრილი საკითხები.

პროცესის დასრულების შემდეგ:

✓ მოამზადეთ ინტერვიუს შემაჯამებელი ანგარიში;

✓ მოამზადეთ ჩანაწერის ტრანსკრიპტი.

სიმბოლოები:

(*) - დამატებითი ინფორმაციის მოძიების მიზნით დასმული შეკითხვა

[...] - კითხვისთვის მინიჭებული სპეციალური კოდი (განკუთვნილია ანალიზის გასამარტივებლად).

ნაწილი I: ბრანდების გაცემის დაგეგმვა

შეკითხვა: I.I. საბრანდო პროგრამის შექმნა

1. გთხოვთ დაახასიათოთ საგრანტო პროგრამა და მისი ძირითადი მიმართულებები.
2. [პრიორიტეტები] დაფუძნებულია თუ არა საგრანტო პროგრამა საჯარო ინსტიტუტისთვის აქტუალური და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადაჭრაზე? ეფუძნება თუ არა პროგრამის მიმართულებები ემპირიულ კვლევას (სტატისტიკურ მონაცემებს, ანგარიშებს ა.შ.)?
3. *ჩართულნი იყვნენ თუ არა სხვადასხვა დაინტერესებული პირები პროგრამის შემუშავების პროცესში (მაგ. პოტენციური მოსარგებლები და ა.შ.)?

შეკითხვა : I.II. ბრანდების გაცემის დაგეგმვა

4. [ადმინისტრაცია] არსებობს თუ არა გრანტების ადმინისტრირების ორგანო (საბჭო/კომისია)?
5. [ადმინისტრაცია] განსაზღვრულია თუ არა საგრანტო განაცხადის წარდგენის მოთხოვნები, წარსადგენი დოკუმენტები და განაცხადის განხილვის პროცედურები?
6. შემუშავდა თუ არა განაცხადის შეფასების კრიტერიუმები წინასწარ?
7. წინასწარ დადგინდა თუ არა განაცხადის წარსადგენი ვადები?
8. განსაზღვრულია თუ არა ბიუჯეტის ზედა ზღვარი? ქვედა ზღვარი?
9. [გამჭვირვალობა] წინასწარ განისაზღვრა თუ არა საგრანტო კონკურსის გამჭვირვალობის კომპონენტი:
 - * რა ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს წინასწარ (განაცხადება, მოთხოვნები, შეფასების კრიტერიუმები)?
 - * რა გზით უნდა გავრცელდეს ინფორმაცია (სოც. ქსელები, ვებგვერდი, სახელმწიფო შესყიდვების სისტემა და სხვა)?
 - * გამოქვეყნდეს უნდა თუ არა განაცხადის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები?

ნაწილი II: ბრანდების გაცემის პროცესი

ეტაპი: II.I. კონკურსის გამოცხადება

10. [გამჭვირვალობა | ადმინისტრირება] რა საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია საგრანტო კონკურსის შესახებ?
11. [გამჭვირვალობა | ადმინისტრირება] რამდენად იყო გავრცელებული ინფორმაცია ამომწურავი? იყო თუ არა ხელმისაწვდომი ყველა საჭირო დოკუმენტაცია, მოთხოვნები, შეფასების კრიტერიუმები, გადანყვეტილების მიღების პროცედურები და გასაჩივრების მექანიზმი განმარტებული?
12. განაცხადის მიღების და დოკუმენტების წარდგენის რა ფორმებს იყენებთ (ელექტრონული, წერილობითი. ა.შ.)?
13. საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის გაცემის რა გზებს სთავაზობს ინსტიტუტი დაინტერესებულ პირებს (მიღების საათები, ელ ფოსტა..)?
14. როგორ ფიქრობთ, ამ ეტაპზე რაიმე ხარვეზი ხომ არ არის?

ეტაპი: II.II. შესარჩევი კომისიის ფორმირება

15. როგორ მიმდინარეობდა შემფასებელი ორგანოს ფორმირება? განსაზღვრულია თუ არა ეს საკითხი სამართლებრივი აქტით?
16. როგორ განისაზღვრა ორგანოს წარმომადგენლობითობა და შემადგენლობა?
17. [გამჭვირვალობა] გათვალისწინებული იყო თუ არა ინტერესთა კონფლიქტის საკითხი? ეს საკითხი როგორ რეგულირდება?

ეტაპი: II.III. საკონკურსო განაცხადის შეფასება და გადაწყვეტილების მიღება

18. განისაზღვრა თუ არა წინასწარ განაცხადის შეფასების პარამეტრები? [მაკონტროლებელი კითხვა] *არსებობდა თუ არა ქულათა სისტემა? რა პრინციპით გამოვლინდა გამარჯვებული?
19. სულ რამდენი განაცხადი იყო წარმოდგენილი? (თუ მხოლოდ რამდენიმე, თქვენი აზრით, რა იყო ამის მიზეზი?) რამდენი განიხილეს? რამდენის განხილვაზე თქვეს უარი? ხომ არ შეგიძლიათ გაიხსენოთ მიზეზი?
20. *განსაზღვრულია თუ არა განაცხადში აღმოჩენილი ხარვეზების გა-

მოსწორების/შეცვლების წესები (მაგ. დამატებითი კონსულტაციები)?

21. რას თვლით, რომ შეიძლება გაუმჯობესდეს განაცხადების შეფასების ამ ეტაპზე?

22. **[გამჭვირვალობა]** როგორ უზრუნველყოფთ ინტერესთა კონფლიქტის არარსებობას შემფასებელ კომისიასა და კონკურსანტებს შორის?

23. გავრცელდა თუ არა ინფორმაცია გამარჯვებულის შესახებ და რა გზით? ხელმისაწვდომი იყო თუ არა დეტალები გამარჯვებული პროექტის შესახებ?

ეტაპი: II.IV. გასაჩივრების მექანიზმი

24. არსებობს თუ არა გასაჩივრების მექანიზმი?

25. გასაჩივრებულა თუ არა რომელიმე განაცხადი და რა შედეგით დასრულდა იგი?

26. გამოქვეყნდა თუ არა გასაჩივრების შედეგები და რა საშუალებით?

ნაწილი III: გრანტების განხორციელების მონიტორინგი

27. **[მონიტორინგი]** ახორციელებთ თუ არა გაცემული გრანტების მონიტორინგს?

28. არსებობს თუ არა გრანტის მიმღებთან ხელშეკრულების დადების ვალდებულება და როგორი პრაქტიკა მოქმედებს ამ მხრივ?

29. ხელშეკრულებით განერილია თუ არა მონიტორინგის ვალდებულება და შედეგების შეფასების სისტემა? შეგიძლიათ დააკონკრეტოთ რა სახით?

30. ითვალისწინებს თუ არა ხელშეკრულება პროექტის შესრულების ფინანსურ და პროგრამულ ანგარიშებს (შუალედური, საბოლოო, აუდიტის დასკვნა)?

31. როგორ ფიქრობთ, რა არის ამ მხრივ გასაუმჯობესებელი?

32. ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში რა მექანიზმი მოქმედებს? როგორია ამ მხრივ პრაქტიკა?

33. განსაზღვრულია თუ არა მონიტორინგის გეგმა და მეთოდოლოგია?

34. რამდენად ხელმისაწვდომი იყო ინფორმაცია პროექტის განხორციელებ-

ბის შესახებ დაინტერესებული პირებისთვის? რა გზით?

35. არსებობს თუ არა ხელშეკრულების ცვლილების პრაქტიკა და რა არის ამის მიზეზი?

III.I. ეფექტიანობის შეფასება

36. ითვალისწინებს თუ არა საგრანტო პროგრამა შეფასების ინდიკატორებს და შეფასების პროცესის განხორციელების საკითხებს? რა სიხშირით უნდა განხორციელდეს ეფექტიანობის შეფასება?

37. როგორ აფასებთ პროექტის შედეგების შესაბამისობას საგრანტო პროგრამის მიზნებთან?

38. აფასებთ თუ არა ბენეფიციართა კმაყოფილების დონეს? თუ კი, როგორ?

39. ითვალისწინებთ თუ არა პროექტის შეფასებისას გამოვლენილ საკითხებს საგრანტო პროგრამაში რეკომენდაციის სახით?

40. ხელმისაწვდომია თუ არა შეფასების შედეგები დაინტერესებული პირებისთვის?

41. როგორ უნდა გაუმჯობესდეს პროცესი?

ზოგადი კომენტარები:

სახელმწიფო გრანტების გაცემის მონიტორინგი

თანხმობის ფორმა

„სახელმწიფო გრანტების გაცემის მონიტორინგს“ ახორციელებს ა(ა)იპ „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი“ ა(ა)იპ „კონრად ადენაუერის ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში“ და ევროპის გაერთიანებას შორის გაფორმებული ----- საგრანტო ხელშეკრულების (პროექტი: „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“) ფარგლებში.

კვლევის პროცესში ღირებული ცოდნის შესაქმნელად დაგეგმილია ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების სერიის ჩატარება. ინტერვიუს ხანგრძლივობა მოიცავს 45-55 წუთს. მის დაწყებამდე რესპოდენტები გაეცნობიან კვლევის მიზნებს და სურვილის შემთხვევაში, თანხმობის ფორმის საფუძველზე, დაადასტურებენ მონაწილეობას. თანხმობის ფორმა მოიცავს ინფორმაციას კვლევის ამოცანებზე და შედეგების გამოყენებაზე. ინტერვიუს მიმდინარეობისას მოხდება ხმის ჩანერა, რესპოდენტ(ებ)ის თანხმობის გათვალისწინებით.

რესპოდენტს შეუძლია ნებისმიერ დროს (ინტერვიუს მიმდინარეობისას ან მის შემდეგ) შეწყვიტოს და უარი განაცხადოს კვლევაში შემდგომ მონაწილეობაზე.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ:

- კვლევის დროს მიღებული ინფორმაცია მკაცრად კონფიდენციალურია;
- კვლევის გამოქვეყნებისას რესპოდენტის სახელები არ იქნება ნახსენები;
- რესპოდენტს შეუძლია ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს კვლევაში მონაწილეობაზე;
- კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოქვეყნებული იქნება ანგარიშის სახით.

ამ დოკუმენტის გაცნობის შემდეგ ვადასტურებ კვლევაში მონაწილეობას

და ვამონმებ ხელმონერით:

რესპოდენტის

სახელი: _____ თარიღი: _____

ხელმონერა _____

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე. მადლობას გიხდით კვლევაში მონაწილეობისთვის!

საკონტაქტო ინფორმაცია:

ჩალრმავებული ინტერვიუ
გრანტის გამცემი უწყების წარმომადგენელი

ინტერვიუს თარიღი:	
გრანტის გამცემი სახელმწიფო სტრუქტურა:	
რესპოდენტის პოზიცია:	

პროცესის დაწყებამდე, დარწმუნდით, რომ:

- ✓ რესპოდენტი ინფორმირებულია ინტერვიუს მიზნების, დროისა და ადგილის შესახებ;
- ✓ რესპოდენტი აცხადებს (წერილობით) თანხმობას კვლევაში ჩართვაზე;
- ✓ შეარჩიეთ წყნარი ადგილი და მოსახერხებელი დრო ინტერვიუსთვის;
- ✓ მოამზადეთ დიქტოფონი, შეამოწმეთ და თან იქონიეთ დამატებითი ბატარეები;
- ✓ ინტერვიუს დაწყებამდე მოამზადეთ ფურცელი და კალამი კომენტარების მოსანიშნად.

პროცესის მიმდინარეობისას, ყურადღება მიაქციეთ:

- ✓ არავერბალურ ნიშნებს, ემოციებსა და ჟესტიკულაციას;
- ✓ ინტერვიუს დაწყებამდე გაეცანით რესპოდენტს და საშუალება მიეცით თავი კომფორტულად იგრძნოს. ეს დაგეხმარებათ ნდობის მოპოვებაში;
- ✓ ჩაულრმავდით შეკითხვებს; გამოიყენებთ ფრაზები: „შეგიძლიათ მოიყვანოთ მაგალითი; იქნებ უფრო დეტალურად აღწეროთ“; და ა.შ.);
- ✓ საჭიროების შემთხვევაში კითხვა დააკონკრეტეთ, ხოლო პერიფრა-

- ზის სახით დააზუსტეთ მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაცია;
- ✓ განხილვის ბოლოს შეაჯამეთ ინტერვიუს დროს წამოჭრილი საკითხები.

პროცესის დასრულების შემდეგ:

- ✓ მოამზადეთ ინტერვიუს შემაჯამებელი ანგარიში;
- ✓ მოამზადეთ ჩანაწერის ტრანსკრიპტი.

სიმბოლოები:

- (*) - დამატებითი ინფორმაციის მოძიების მიზნით დასმული შეკითხვა
- [...] - კითხვისთვის მინიჭებული სპეციალური კოდი (განკუთვნილია ანალიზის გასამარტივებლად).

ნაწილი I: გრანტების გაცემის ადმინისტრირება

1. **[გამჭვირვალობა]** როგორ გაიგეთ საგრანტო კონკურსის შესახებ, რა გზით (სოც. მედია; ვებ-გვერდი, და ა.შ.
2. პირველად იღებდით თუ არა მონაწილეობას? *თუ არა, რა შედეგით დასრულდა ადრეული მცდელობა?
3. **[პრიორიტეტები]** თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამებოდა საგრანტო პროგრამის პრიორიტეტები საჯარო ინსტიტუტის მიზნებს?
4. **[პრიორიტეტები]** თქვენი აზრით, რამდენად ასახავდა საგრანტო პროგრამა საჯარო ინსტიტუტისთვის აქტუალური და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებს? *თუ არა, მაშინ, როგორ შეიძლება მათი უკეთ განსაზღვრა?
5. როგორ ფიქრობთ, ჩართულნი უნდა იყვნენ თუ არა სხვადასხვა დაინტერესებული პირები პროგრამის შემუშავების პროცესში (მაგ. პოტენციური მოსარგებლები და ა.შ.)?
6. **[გამჭვირვალობა | ადმინისტრირება]** რამდენად იყო გავრცელებული ინფორმაცია ამომწურავი? განსაზღვრული იყო თუ არა საგრანტო განაცხადის წარდგენის მოთხოვნები, წარსადგენი დოკუმენტები და განაცხადის განხილვის პროცედურები?
7. ხელმისაწვდომი იყო თუ არა განაცხადის შეფასების კრიტერიუმები წინასწარ?
8. განსაზღვრული იყო თუ არა განაცხადის წარსადგენი ვადები?
9. განსაზღვრული იყო თუ არა ბიუჯეტის ზედა ზღვარი? ქვედა ზღვარი (თითოეული აპლიკანტისთვის)?
10. იყო თუ არა ხელმისაწვდომი ინფორმაცია გადაწყვეტილების მიღების პროცედურებისა და გასაჩივრების მექანიზმი შესახებ განმარტებული?
11. განაცხადის მიღებისა და დოკუმენტების წარდგენის რა ფორმა იქნა გამოყენებული (ელექტრონული, წერილობითი. ა.შ.)?
12. რაიმე სირთულეებს ხომ არ გადააწყდით განაცხადის შევსებისას (გთხოვთ მოიყვანოთ მაგალითი)?
13. საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის გაცემის რა გზებს სთავაზობ-

და ინსტიტუტი, დაინტერესებულ პირებს (მიღების საათები, ელ ფოსტა..)?

14. როგორ ფიქრობთ, ამ ეტაპზე რაიმე ხარვეზი ხომ არ არის?

ნაწილი II: საკონკურსო ბანაცხადის შეფასება და გადანყვეტილების მიღება

15. რა პრინციპით გამოვლინდა გამარჯვებული? *არსებობდა თუ არა ქულათა სისტემა? ინფორმირებული იყავით თუ არა წინასწარ განაცხადის შეფასების პარამეტრების შესახებ? [მაკონტროლებელი კითხვა]

16. საჭიროების შემთხვევაში იყო თუ არა დამატებითი კონსულტაციების მოთხოვნის საშუალება?

17. [გამჭვირვალობა | ინტერესთა კონფლიქტი] გქონდათ თუ არა წინასწარ ინფორმაცია შესარჩევი კომისიის შემადგენლობის შესახებ? (მაგალითად ვებ-გვერდის საშუალებით).

18. როგორ/რა ფორმით გაცნობეს კომისიის გადანყვეტილების შესახებ? [გამჭვირვალობა] გამოქვეყნდა თუ არა განაცხადის შესახებ მიღებული გადანყვეტილებები?

19. ხელმისაწვდომი იყო თუ არა დეტალები გამარჯვებული პროექტის შესახებ?

20. რას თვლით, რომ შეიძლება გაუმჯობესდეს განაცხადების შეფასების ამ ეტაპზე?

21. ინფორმირებული იყავით თუ არა გასაჩივრების მექანიზმის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებდით თუ არა მას? თუ არა, რატომ არ გამოიყენებდით?

ნაწილი III: გრანტების განხორციელების მონიტორინგი და ეფექტიანობის შეფასება

22. [მონიტორინგი] ახორციელებდა თუ არა გრანტის გამცემი უწყება თქვენი გრანტის მონიტორინგს?

23. გააფორმეთ თუ არა ხელშეკრულება გრანტის გამცემთან?

24. ხელშეკრულებით განერილი იყო თუ არა მონიტორინგის ვალდებულება და შედეგების შეფასების სისტემა? შეგიძლიათ დააკონკრეტოთ რა სახით?

25. ითვალისწინებდა თუ არა ხელშეკრულება პროექტის შესრულების ფინანსურ და პროგრამულ ანგარიშებს (შუალედური, საბოლოო, აუდიტის დასკვნა)?
26. როგორ ფიქრობთ, რა არის ამ მხრივ გასაუმჯობესებელი?
27. ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში რა მექანიზმი მოქმედებდა? იყავით თუ არა ამის შესახებ ინფორმირებული წინასწარ?
28. განხორციელდა თუ არა პროექტის ეფექტიანობის შეფასება გრანტის გამცემი უწყების მიერ? თქვენ მიერ?
29. აფასებთ თუ არა ბენეფიციართა კმაყოფილების დონეს? თუ კი, როგორ?
30. გაუზიარეთ თუ არა პროექტის შეფასებისას გამოვლენილი საკითხები გრანტის გამცემ ორგანიზაციას რეკომენდაციის სახით?
31. ფიქრობთ თუ არა, რომ პროცესი საჭიროებს გაუმჯობესებას? როგორ?

ზოგადი კომენტარები:

გამოყენებული მასალები

1. სახელმწიფო გრანტების მონიტორინგის სახელმძღვანელო (2017);
2. საქართველოში საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმები (2017);
3. სახელმწიფო გრანტების ადმინისტრირების პროცესის მონიტორინგის ანგარიში (2016-2017 წწ)
4. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი;
5. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის #126 დადგენილება;
6. საქართველოს იუსტიციის სისტემაში გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის #160 ბრძანება;
7. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს კანონი;
8. „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონი;
9. „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
10. „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგრანტო კონკურსის დებულებისა და საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 13 ივნისის #106/ნ ბრძანება;
11. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გრანტების გაცემის წესის, საგრანტო კონკურსის დებულებისა და საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 7 თებერვლის #19/ნ ბრძანება;
12. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2014 წლის 11 თებერვლის დადგენილება №2/2014 ;
13. ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2018 წლის 13 ივლისის №149/2018 განკარგულება;

14. ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2018 წლის 6 აპრილის №93/2018 განკარგულება;
15. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2018 წლის 22 იანვრის №9/2018 განკარგულება
16. „ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბერი №135/ნ ბრძანება;
17. „ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვალი №84 დადგენილება;
18. „მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვალი №86 დადგენილება;
19. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №1-1/282 „საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“;
20. სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 1 დეკემბრის #47 ბრძანება;
21. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის №273 დადგენილება;
22. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 სექტემბრის 1№554 განკარგულება;
23. „სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 23 თებერვლის #1-1/73 ბრძანება;
24. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 29 იანვრის 3 დადგენილება;
25. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულება;

26. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განთლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 01-11/154, 01-11/64 და 01-11/370 ბრძანებები;
27. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2015 წლის 18 თებერვლის №246 ბრძანება „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“;
28. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 24.01.2018წ. #59 ბრძანება. 09.03.2018წ. #817 ბრძანება. საქ. მთავრობის 19.04.2018წ. #844 განკარგულება;
29. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 ნოემბრის №525 დადგენილება;
30. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი და მე-3 პუნქტის „წ“ ქვეპუნქტი.
31. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს #219 დადგენილება „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“;
32. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი;
33. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის გრანტის გამცემად განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 24 მაისის #248 დადგენილება.